# სარბიელი

სპორტული გაზეთი | ოთხშაბათი 19 მარტი 2003 №47 (1818) | ფასი 50 თეთრი




UEFA CHAMPIONS LEAGUE

# რეალი რუსულ ჭაობში არ ჩაიძირა

## გამსვლელი შვიდიანი

### ბებერმა იუვენტუსმა დეპორტივოს და ბაზელს ურთიერთობაში აჯობა

REUTERS მოსკოვიდან



რონალდომ „ლოკომოტივის“ უვარგის მოედანზე ფეხი რომ ვერ მოიკიდა, თავით გაიტანა



# ჩაითვლება გუშინდელი 1:0?

## ვიტ ჭორჭიამ დინამოს მანწკავა გაუპროტესტა

### დღეს კარნევალიმ შუშაკს შეიძლება 3:0 მოუგოს





# არცერთი გერმანული და ფერგიუსონის ლინჩის წესი



REUTERS ლა კორუნიადან

დეპორტივო — მანჩესტერი. მარკ ლინჩი (მარცხნივ) მასპინძლებს ავტოგოლით შეეწია



REUTERS ბაზელიდან

ბაზელი — იუვენტუსი. ალესიო ტაკინარდის (მარცხნივ) გოლის მერე ხულიო როსის და შვეიცარიელებს იოტისოდენა იმედიც გადაეწურათ



REUTERS მოსკოვიდან

ლოკომოტივი — რეალი. ივან ელგერამ რუსლან პიმენოვს კისერი მოუგრიხა

დღევანდელი მატჩებიც და ჩემპიონთა ლიგის მეორე ჯგუფური ეტაპი დასრულდება. პარასკევს, უეფას შტაბბინაში შეჯიბრებას შემორჩენილ რვა გუნდს სამეოთხედფინალოდ უყრიან კენჭს და ნახევარფინალების ბადესაც შეადგენენ, მერე... თუმც ასე შორს ნუღარ წავალთ და გუშინდელი ამბები ვთქვათ.

სენსაცია არ მომხდარა. „ბაზელმა" „იუვენტუსი" ჯგუფში ვერ ჩატოვა და „რეალიც" გაძვრა შემდეგ ეტაპზე.

„დორტმუნდმა" თავი დადო და „მილანი" მისსავე „სან სიროზე" დაამარცხა. გერმანელ კლუბებს აქამდე მთელი 47 წელი ვერ მოეხერხებიათ მილანში გამარჯვება. მაგრამ ამ მოგებას ფასი აღარ ჰქონდა, რაკი „დორტმუნდმა" „რეალის" გადასწრება მაინც ვერ შეძლო. კიდევ ბევრჯერ გაიხსენებენ მოსკოვში, ქვიშამოყრილ სტადიონზე, ლოკომოტიველ ვადიმ ევსეევს როგორ ჰქონდა გათანაბრებისა და „რეალის" ჯგუფში ჩატოვების შანსი, მაგრამ მადრიდელებს ამ უსახურ და მწირმომენტიან მატჩშიც გაუმართლათ, ისევე როგორც ერთი კვირით ადრე, როცა დორტმუნდში ბოლო წუთზე გაიტანეს გოლი.

მაგრამ კაცი ვერც იმას იტყვის, „რეალი" დაუმსახურებლად გავიდა მეოთხედფინალშიო. იმ მეოთხედფინალში, რომელიც ბოლო 19 წლის მანძილზე პირველად ჩაივლის გერმანული გუნდის გარეშე. დავაზუსტოთ: გერმანულ კლუბებს რომ ვამბობთ, ძველ ფედერაციას და ახლანდელი გაერთიანებული გერმანიას ვგულისხმობთ, თორემ აღმოსავლეთ გერმანიის გუნდებსაც თუ მივათვლით, აღმოჩნდება, რომ 1956-57 წლების სეზონის მერე პირველად მოხდა, ევროთასების მეოთხედფინალებს ერთი გერმანული გუნდიც რომ არ შემორჩა. და რაკი ძველი ამბები გავიხსენეთ, დავძინოთ, რომ „რეალმა" მხოლოდ მერვე ცდაზე შეძლო რუსთა დედაქალაქში გამარჯვება, რაც ლუიშ ფიგუს უზუსტესი პასით და რონალდოს კინკილა გოლით გამოუვიდა.

ლა კორუნიასა და ბაზელში ნაკლები ინტრიგა იყო. გალისიაში ორი არაფრის მოსურნე გუნდი შეხვდა ერთმანეთს და „დეპორტივო" კარის გაჯახუნებასღა გამორჩა. „მანჩესტერს", რომელმაც თავი მეოთხედფინალში ჯერ კიდევ ერთი თვის წინ დაიგულა, თავი არ გამოუდვია და მისმა მენეჯერმა ალექს ფერგიუსონმა სარეზერვოებთან ერთად სულაც მესამე შემადგენლობის ბიჭები იახლა თან. ერთ-ერთ მათგანს, მარკ ლინჩს გუშინდელი დღე სამუდამოდ დაამახსოვრდება, რაკი სადებიუტო მატჩში ავტოგოლიც მიითვალა.

„დეპორტივოს" გამარჯვებას ჯგუფში მეორე ადგილზე „იუვენტუსი" გაჰყავდა, მაგრამ ტურინელებმა თავი არ აიტკივეს და სწრაფადვე გაუტანეს „ბაზელს". ამის მერე შვეიცარიელებს სამეოთხედფინალოდ უკვე ხუთი გოლის გატანა და „მანჩესტერის" გამარჯვება სჭირდებოდათ, რასაც აბა, როგორ მოახერხებდნენ. თუმც „ბაზელი" მაინც ამაყად დაემშვიდობა ლიგას, რადგან მეორე ჯგუფურ ეტაპზე გამღწევ პირველ შვეიცარიულ გუნდად დარჩა.

## ჩემპიონთა ლიგა 2002-2003

### II ჯგუფური ეტაპი. VI ტური

### C ჯგუფი

**ლოკომოტივი 0:1 რეალი**

0:1 რონალდო (35)

ლოკომოტივი: ოვჩინიკოვი, ნიჟეგოროდოვი, იგნაშევიჩი, პაშინინი, ევსეევი, ხენიკოვი, მნგუნი (ჟულიო სეზარი 71), იზმაილოვი, მამინოვი (სირხაევი 80), ლოსკოვი, პიმენოვი

მწვრთნელი: იური სიომინი

რეალი: კასილიასი, სალგადო, პავონი, ელგერა, სოლარი, ფიგუ, მაკელელე, კონსეისაო, ზიდანი (კამბიასო 90), რაული, რონალდო (გუტი 80)

მწვრთნელი: ვისენტე დელ ბოსკე

გაფრთხილება: ნიჟეგოროდოვი

მსაჯი: კლოდ კოლომბო (საფრანგეთი)

25 000 მაყურებელი

**მილანი 0:1 დორტმუნდი**

0:1 კოლერი (80)

მილანი: აბიატი, შიმიჩი, ლაურსენი, ნესტა, მალდინი (კოსტაკურტა 46), გატუზო, რედონდო, ბროკი (პირლო 82), რუი კოშტა (ინძაგი 62), რივალდო, ტომასონი

მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი

დორტმუნდი: ლემანი, ევანილსონი, მეცელდერი, ვოირნსი, დედე (მადუნი 84), როიტერი (რიკენი 61), ფრინგსი, კელი, ევერტონი (ოდონკორი 74), კოლერი, ამოროზო

მწვრთნელი: მათიას ზამერი

გაფრთხილება: გატუზო, ევერტონი, ფრინგსი

მსაჯი: გრემ ბარბერი (ინგლისი)

60 000 მაყურებელი

**საბოლოო ცხრილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მილანი | 6 | 4 | 0 | 2 | 5:4 | 12 |
| რეალი | 6 | 3 | 2 | 1 | 9:6 | 11 |
| დორტმუნდი | 6 | 3 | 1 | 2 | 8:5 | 10 |
| ლოკომოტივი | 6 | 0 | 1 | 5 | 3:10 | 1 |

„მილანი" და „რეალი" გავიდნენ მეოთხედფინალში

### D ჯგუფი

**ბაზელი 2:1 იუვენტუსი**

0:1 ტაკინარდი (10), 1:1 კანტალუპი (38), 2:1 ხიმენესი (90)

ბაზელი: ცუბერბიულერი, ჰაასი, ცვისიგი, მ. იაკინი, ატუბა, ბარბერისი (ჰუგელი 56), კანტალუპი, ჩიპერფილდი, ჰ. იაკინი (ვარელა 78), ხიმენესი, როსი (ტუმი 72)

მწვრთნელი: კრისტიან გროსი

იუვენტუსი: ბუფონი, ტურამი (დელ პიერო 69), მონტერო, იულიანო, ბირინდელი, ტუდორი (პესოტო 46), ტაკინარდი, ძამბროტა, ძენონი, ნედვედი, ტრეზეგე (სალასი 30)

მწვრთნელი: მარჩელო ლიპი

მსაჯი: ვოლფგანგ შტარკი (გერმანია)

30 501 მაყურებელი

**დეპორტივო 2:0 მანჩესტერი**

1:0 ვიქტორი (32), 2:0 ლინჩი (47ს.კ.)

დეპორტივო: დანი მალო, მანუელ პაბლო, სესარი, ჟორჟე ანდრადე (ჯოროვიჩი 64), კაპდევილა, ვიქტორი (ექტორი 78), დუშერი, აკუნია, ფრანი (სკალონი 52), ვალერონი, ლუკე

მწვრთნელი: ხავიერ ირურეტა

მანჩესტერი: რიკარდო, ლინჩი, როჩი (სტიუარტი 46), ბლანი, ოში, პაგი, ფლეტჩერი, ფ. ნევილი, ბათი, გიგზი (რიჩარდსონი 72), ფორლანი (ვებერი 72)

მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი

გაფრთხილება: აკუნია, ნევილი

მსაჯი: ვლადიმირ ჰრინაკი (სლოვაკეთი)

20 000 მაყურებქლი

**საბოლოო ცხრილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მანჩესტერი | 6 | 4 | 1 | 1 | 11:5 | 13 |
| იუვენტუსი | 6 | 2 | 1 | 3 | 11:11 | 7 |
| ბაზელი | 6 | 2 | 1 | 3 | 5:10 | 7 |
| დეპორტივო | 6 | 2 | 1 | 3 | 7:8 | 7 |

„მანჩესტერი" და „იუვენტუსი" გავიდნენ მეოთხედფინალში



REUTERS მილანიდან

იან კოლერი ლიგას გოლით დაემშვიდობა

## ინგლისი

### პირველი დივიზიონი XXXVIII ტური

ბრედფორდი 1:1 შეფილდ უენსდი
ბარნლი 1:2 ლესტერი
იფსვიჩი 3:1 რედინგი
მილუოლი 0:2 ნორვიჩი
პრესტონი 5:0 უოლსოლი
როტერჰემი 0:1 გრიმსბი
შეფილდ იუნ. 2:1 ბრაიტონი
უოტფორდი 0:1 ჯილინგემი
ვულვერჰემპტონი 0:0 სტოკი
კრისტალ პალასი 0:1 უიმბლდონი

### მეორე დივიზიონი XXXVIII ტური

ბარნსლი 1:1 ტრანმერი
კარდიფი 2:1 ბლეკპული
ჩესტერფილდი 0:4 კოლჩესტერი
ჰადერსფილდი 1:1 მენსფილდი
ლუტონი 0:0 ოლდემი
ნორთჰემპტონი 2:0 ნოტსი
პიტერბრო 1:2 უიკომბი
პლიმუთი 1:3 ძრიუ
პორტ ვეილი 1:0 ბრენტფორდი
ქუინზ პარკი 4:1 ჩელტენემი
სტოკპორტი 1:1 უიგანი

### მესამე დივიზიონი XXXVIII ტური

სკანთორპი 3:1 როჩდეილი
ბორნმუთი 3:1 ლეიტონი
როვერსი 0:1 იორკი
ბერი 0:1 რაშდენი
კარლაილი 1:0 მაკლსფილდი
ექსეტერი 2:0 ლინკოლნი
ჰალი 1:1 ტორკი
კიდერმინსტერი 2:2 შრიუსბერი
ოქსფორდი 1:1 კემბრიჯი
საუთენდი 0:2 სუონსი
რექსემი 2:0 ჰარტლპული

## საფრანგეთი

### პირველი დივიზიონი გადადებული მატჩი

გენგამი 1:0 ლილი

### მეორე დივიზიონი გადადებული მატჩები

ამიენი 2:0 კრეტეი
გენიონი 2:2 შატორუ

## შოტლანდია

### პირველი დივიზიონი გადადებული მატჩები

კლაიდი 4:1 ინვერნესი
ქუინი 3:0 არბროთი

### მეორე დივიზიონი გადადებული მატჩები

კოუდენბითი 2:0 დამბარტონი
ჰამილტონი 1:2 სტრანრარი

## ავსტრია

### მაქსბუნდესლიგა გადადებული მატჩი

რაპიდი 0:0 ადმირა ვაკერი

### თასის 1/8 ფინალი

ალტახი 0:1 *ზალცბურგი*
*პატენსი* 5:3დ.დ. (2:2) ლუსტენაუ
ბლაუ ვაისი 0:3დ.დ. (0:0) *კარნტენი*
უნტერზიბენბრიუნი 1:2დ.დ. (1:1) *რიდი*
*შტურმი* 3:0 ვიენერი
ჰარტბერგი 0:1 *მატერსბურგი*

რეკლამა სარბიელ-ში
Tel: 39 40 08, 93 16 08;
Fax: 94 33 80

# ჩემპიონთა ლიგა II ჯგუფური ეტაპი. VI ტური. დღეს.

## A ჯგუფი

### ნიუკასლი — ბარსელონა

**სავარაუდო შემადგენლობები**

გივენი, ჰიუზი, ბრემბლი, ე. ობრაიენი, ბერნარი, სოლანო, დაიერი, ჯენასი, რობერი, შირერი, ბელამი

ვალდესი, გაბრი, ოლეგერი, პ. ანდერსონი, რაიციგერი, მენდიეტა, ხავი, მოტა, ინიესტა, კლუივერტი, სერხიო გარსია

ნიუკასლი, „სენტ ჯეიმსიზ პარკი". მსაჯი: იან ვეგერიფი (ჰოლანდია)

დისკვალიფიცირებულნი: *ნიუკასლი: არავინ; ბარსელონა: არავინ*

### ლევერკუზენი — ინტერი

**სავარაუდო შემადგენლობები**

ბუტი, უივკოვიჩი, კლაინი, კრისი, ოჯიგვე, კალუჟნი, ბაშთურქი, შიმაკი, ბრდარიჩი, ფრანცა, ბერბატოვი

ტოლდო, ხ. ძანეტი, კანავარო, კორდობა, კოკო, კონსეისაუ, დი ბიაჯო, კ. ძანეტი, ემრე, მორფეო, ო. მარტინსი

ლევერკუზენი, „ბაიარენა". მსაჯი: ვალენტინ ივანოვი (რუსეთი)

დისკვალიფიცირებულნი: *ლევერკუზენი: არავინ; ინტერი: ალვარო რეკობა (1 მატჩი), კრისტიან ვიერი (1 მატჩი)*

# რა ბავშვობაა?!

## ბარსელონას საყმაწვილო სენი შეეყარა



დომენიკ მორფეოს გოლის გატანაც შეუძლია, თუმცა დღეს ფორვარდისთვის ბურთის მიწოდება დაევალება

**შანსებით დავიწყოთ**: „ბარსელონას" პირველ ადგილს ვერავინ წაართმევს, „ლევერკუზენს" კი აღარაფერი ეშველება, შესაბამისად მეორე ადგილისთვის „ინტერი" და „ნიუკასლი" იბრძვიან. თუკი „ინტერი" ლევერკუზენში მოიგებს, „ნიუკასლისა" და „ბარსელონას" შეხვედრის შედეგი მნიშვნელობას კარგავს, ხოლო თუ ვერ მოიგო, მრავალფეროვან ვარიანტებს ვღებულობთ. ამ ვარიანტთაგან ყველაზე საინტერესო ისაა, თუ იტალიელები და ინგლისელები თანაბარ ქულებს დააგროვებენ. ამისთვის „ინტერი" უნდა დამარცხდეს, „ნიუკასლმა" კი ფრედ ითამაშოს. ამ შემთხვევაში ურთიერთშეხვედრათა შედეგებს მიექცევა ყურადღება, რომელშიც უპირატესობა მილანელთა მხარესაა: „ინტერმა" „სენტ ჯეიმსიზ პარკზე", ჯერ კიდევ შარშან ნოემბერში, 4:1 მოიგო, შინ კი, „სან სიროზე", ფრედ ითამაშა. აქედან დასკვნა: თუ „ნიუკასლმა" „ბარსელონა" ვერ დაამარცხა, „ინტერი" ლევერკუზენში დამარცხების შემთხვევაშიც მეოთხედფინალში გადის.

„ლევერკუზენს", მოგეხსენებათ, ბუნდესლიგაში ადგილის შენარჩუნების გარდა აღარაფერი ადარდებს, ჰოდა, მისი დროებითი მწვრთნელი თომას ჰიორსტერიც ზოგიერთი ფეხბურთელის დასვენებას აპირებს. სწორედაც იქცევა, რადგან ბუნდესლიგის მომდევნო ტურში „ლევერკუზენს" უმნიშვნელოვანესი შეხვედრა ელის უშუალო კონკურენტ „კაიზერსლაუტერნთან".

ზოგიერთ ფეხბურთელს დაასვენებს-თქო კი ვთქვით, მაგრამ რომ ჩამოვთვლით, ნახევარი გუნდი გამოვა: ბრაზილიელი მცველი ჟუანი, ნახევარმცველები კარსტენ რამელო და ბერნდ შნაიდერი, ფორვარდი ოლივერ ნოივილი. ამას დავუმატოთ, რომ ჰიორსტერს ორი მცველი, არგენტინელი დიეგო პლასენტე და იენს ნოვოტნი დაშავებულები ჰყავს, რაც ასევე „ინტერის" წისქვილზე ასხამს წყალს.

მაგრამ „ინტერს" სხვა პრობლემები აქვს. კერძოდ, წინა ტურში კრისტიან ვიერის გაფრთხილება ერთმატჩიან დისკვალიფიკაციად დაუჯდა და ექტორ კუპერი ფაქტობრივად უთავდამსხმელოდ დარჩა. აბა რა გამოდის: „ინტერი" ერთადერთი ნომინალური ფორვარდით, 18 წლის ნიგერიელი ობაფემი მარტინსით ითამაშებს, რომლის კვალიფიკაციაც ეჭვის საბაბს იძლევა. კიდევ კარგი, ორთვიანი მკურნალობის შემდეგ ერნან კრესპო მომჯობინდა, თუმც სავარაუდოდ, ის სათადარიგო იქნება. რაც შეეხება დისკვალიფიცირებული ალვარო რეკობას ადგილს — მოედნის ცენტრსა და შეტევას შორის — მას დომენიკო მორფეო შეავსებს.

თავშიც მოგახსენეთ, რომ „ნიუკასლს" ცალი თვალი ლევერკუზენისკენ ექნება მიპყრობილი, „ბარსელონას" კი გარი სპიდის გარეშე დაუხვდება. ეს ნახევარმცველი წინა შაბათს, პრემიერლიგაში „ჩარლტონ ატლეტიკთან" გამარჯვებას შეეწირა — მყესი დაიშავა. სამაგიეროდ ბრუნდება კირონ დაიერი, თუმც ამბობენ, ტრავმა ბოლომდე არ მოუშუშებიაო. თუ დაიერმა თამაში შეძლო, ნახევარდაცვაში ჯერმეინ ჯენასს შეუწყვილდება.

ალბათ ითამაშებს ფრანგი გარემარბი ლორენ რობერიც, რომელმაც „ინტერთან" შეხვედრისას, ერთი კვირის წინ, კოჭი იტკინა. მისი თამაში კი პორტუგალიელი უგო ვიანას სათადარიგოდ გამწესებას ნიშნავს.

„ბარსელონას" შემადგენლობას თუ გადახედავთ, ახალბედათა სიმრავლე მოგხვდებათ თვალში. არასაიმედო რობერტო ბონანოს სარეზერვო მეკარე ვიქტორ ვალდესი შეცვლის, დაცვაში ოლეგერ პრესასი ითამაშებს, ანდრეს ინიესტა პლეიმეიკერობას გასწევს, ხავიერ სავიოლას კი სერხიო გარსია ჩაენაცვლება.

ამასთანავე შემადგენლობაში იქნება ხანგრძლივად ნამკურნალები ხერარდი, ოღონდ ის სათადარიგო იქნება.

**გიორგი დარჯანია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბარსელონა | 5 | 4 | 1 | 0 | 10:2 | 13 |
| ინტერი | 5 | 2 | 2 | 1 | 9:8 | 8 |
| ნიუკასლი | 5 | 2 | 1 | 2 | 10:11 | 7 |
| ლევერკუზენი | 5 | 0 | 0 | 5 | 5:13 | 0 |

„ბარსელონა" გასულია მეოთხედფინალში

## B ჯგუფი

### რომა — აიაქსი

**სავარაუდო შემადგენლობები**

პელიცოლი, კუფრე, პანუჩი, ალდაირი, კანდელა, კაფუ, ემერსონი, ტომაზი, ლიმა, კასანო, მონტელა

ლობონტი, ტრაბელსი, კივუ, პასანენი, ჯ. ობრაიენი, დე იონგი, გალაშეკი, პიენაარი, მაქსველი, ვან დერ ვაარტი, იბრაჰიმოვიჩი

რომა, „სტადიო ოლიმპიკო". მსაჯი: ჰერბერტ ფანდელი (გერმანია)

დისკვალიფიცირებულნი: *რომა: ვალტერ სამუელი (1 მატჩი), ფრანჩესკო ტოტი (1 მატჩი); აიაქსი: არავინ*

### ვალენსია — არსენალი

**სავარაუდო შემადგენლობები**

კანისარესი, რეველიერი, აიალა, პელეგრინო, აურელიო, რუფეტე, ხუან სანჩესი, ალბელდა, ვისენტე, აიმარი, კარეუ

ტეილორი, ლორენი, სტეპანოვსი, სიგანი, ვან ბრონკჰორსტი, ვილტორდი, ვიეირა (ან ედუ), ჟილბერტო სილვა, პირესი, ანრი, ჯეფერსი

ვალენსია, „მესტალია". მსაჯი: მსაჯი: კიროს უასარასი (საბერძნეთი)

დისკვალიფიცირებულნი: *ვალენსია: რუბენ ბარახა (1 მატჩი); არსენალი: არავინ*

# მსაჯი თუ რომას აჰყვა

## რომა პროვოკატორია, არსენალი — დამტვრეული

**რონალდ კუმანს** დიდი გამოცდილება აქვს, უამრავი გადამწყვეტი მატჩი უთამაშია, „ბარსელონას" შემადგენლობაში ჩემპიონთა თასიც მოუგია და კარგად იცის, მის საშუალოდ 22 წლის „აიაქსს", დღეს რომის „სტადიო ოლიმპიკოზე" რა ატმოსფეროც დახვდება. სურათი ასეთია: „აიაქსი" ფრითაც გადის მეოთხედფინალში, ხოლო „რომამ" უნდა გაიმარჯვოს და თან შეიტყოს, რომ ლონდონის „არსენალმა" ვალენსიაში არ წააგო.

„რომაელებს სეზონის გადარჩენის ბოლო შანსი აქვთ და ეჭვი არ არის, ჩვენს დასამარცხებლად ყველა ღონეს იხმარენ — განაცხადა კუმანმა, — ეს მათი ერთ-ერთი თვისებათაგანია, ასე, რომ ძალიან დიდი როლი ექნება მსაჯს. ჩემი ფეხბურთელები კი პროვოკაციებს არავითარ შემთხვევაში არ უნდა აჰყვნენ. მთავარია ჩვენი ფეხბურთი ვითამაშოთ და მატჩის სადავეები ხელიდან არ გავუშვათ".

მოგეხსენებათ, „რომა" ამ შეხვედრაში დისკვალიფიცირებული ფრანჩესკო ტოტისა და ვალტერ სამუელის გარეშე იქნება.

კუმანმა განაგრძო: „ტოტი მათი გუნდის წამყვანი ფეხბურთელია და მისი სრულყოფილად შეცვლა გაუჭირდებათ. სამუელი გამოცდილია, სოლიდური, ასე, რომ ამ ორი მოთამაშის არყოფნამ შესაძლოა უპირატესობა გვიბოძოს".

გაირკვა, რომ „აიაქსის" თავკაცი თავისი მთავარი ბომბარდირის, ზლატან იბრაჰიმოვიჩის კუნთის ტრავმით ყოფილა შეწუხებული.

„გართულებების თავიდან ასაცილებლად, ზლატანი ორშაბათს საავადმყოფოში მივიდა და ექიმს ეჩვენა. მე ჯერ კიდევ მაქვს იმედი, რომ იგი თამაშს შეძლებს, თუმცა თუ ვერ შეძლო, მაშინ, ალბათ, მთავარ თავდამსხმელობას რაფაელ ვან დერ ვაარტს დავავალებთ. კვირას კოჭი იტკინა ჰატემ ტრაბელსიმ, თუმცა „რომასთან" აუცილებლად იქნება, თუნდაც ბანდაჟის ჩაცმა დასჭირდეს".

კუმანმა დაინახა, რომ ჩემპიონთა ლიგის მიმდინარე გათამაშებაში „აიაქსმა" თამაშიდან თამაშამდე დახვეწა ოსტატობა და 1996 წლის შემდეგ პირველად, ფინალში გასვლის რეალური შანსიც აქვს. გეხსომებათ, 96-ში ამსტერდამელებმა პენალტებით წააგეს „იუვენტუსთან".

„ყველაზე ძნელი „ვალენსიასთან" პირველი თამაში გახლდათ, მას შემდეგ კი ვაუმჯობესებდით და ვაუმჯობესებდით დონეს. ახლა მეოთხედფინალთან ახლოს ვართ, ოღონდ კარგი შედეგი გვჭირდება. ვამაყობ იმით, რასაც აქამდე მივაღწიეთ, მაგრამ თუ გავვარდით, წარმოუდგენლად დამწყდება გული" — დასძინა მწვრთნელმა.

რაც შეეხება „ვალენსიას", რომელიც „არსენალს" მასპინძლობს, კილი გონსალესის დაკლებით დიდი პრობლემა შეექმნა — არგენტინელმა კოჭთან მყესები დაიზიანა და ექვსი კვირის განმავლობაში ვეღარ ითამაშებს.

გარდა ამისა, რაფაელ ბენიტესს არ ჰყავს რუბენ ბარახა, მთავარი ნახევარმცველი, იგი დისკვალიფიცირებულია, არადა გუნდს მოგება და მხოლოდ მოგება სჭირდება. ვინ შეცვლის ბარახას? ბენიტესი ამ ფუნქციისთვის ხუან სანჩესსა და გონსალო დე ლოს სანტოსს შორის გააკეთებს არჩევანს.

სამაგიეროდ, დაცვაში არგენტინელი მაურო პელეგრინო ბრუნდება. იგი რობერტო აიალას ამოუდგება მხარში — მოგეხსენებათ, აიალაც არგენტინელია.

„არსენალმა" კი შაბათს, „ბლექბერნთან" ისე მოულოდნელად წააგო, რომ, რაღა დაგიმალოთ და ბევრ მიმომხილველს ეჭვები გაუჩინა. თან, ლონდონელებს არ ეყოლებათ მარტინ კიოუნი და სოლ კემპბელი. მზად არ გახლავან არც ეშლი კოული და ოლეგ ლუჟნი — ეს ყველაფერი ტრავმების ბრალია, ისევე, როგორც მეკარის, დევიდ სიმენის და კაპიტნის, პატრიკ ვიეირას ამბავი. ერთი სიტყვით...

**კაკუნა ძიდია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| აიაქსი | 5 | 1 | 4 | 0 | 5:4 | 7 |
| არსენალი | 5 | 1 | 4 | 0 | 5:3 | 7 |
| ვალენსია | 5 | 1 | 3 | 1 | 3:5 | 6 |
| რომა | 5 | 1 | 1 | 3 | 6:7 | 4 |



რონალდ კუმანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საპირველგვერდო ბიჭი




ფერნანდო ტორესი და კიკო ნარვაესი: „ატლეტიკოს" ახალი და ძველი თაობის საპირველგვერდო ფეხბურთელები

## ფერნანდო ტორესის არჩევანი
## მუდამ ატლეტიკო, არასოდეს რეალი

*თითქოს უცნაურია, მაგრამ სამი წლის წინ „ატლეტიკო" სეგუნდადივიზიონში რომ არ გავარდნილიყო, ეგებ დღეს არავის სცოდნოდა, ვინ არის ფერნანდო ტორესი. არადა, ეს ბიჭი, რომელიც ხვალ 19 წლისა ხდება, მალიმალ ავიწროვებს ესპანური სპორტული გაზეთების პირველი ფურცლებიდან რაულსა და რონალდოს.*

„ატლეტიკოს" სეგუნდადივიზიონში გატარებული ორი სეზონი კლუბის ქომაგებისთვის საშინელება იყო, მაგრამ მე თამაშის შანსი მომეცა — თქვა ტორესმა „როიტერისთვის" მიცემულ გუშინდელ ინტერვიუში — კლუბს ფინანსური პრობლემები შეექმნა და ახალი, მაღალი კლასის ფეხბურთელების ყიდვა ველარ შეძლო და იძულებული გახდა, თავისივე აღსაზრდელებით ეცადა ბედი. ძირითად შემადგენლობაში ამგვარად მოვხვდი, სხვა შემთხვევაში, ალბათ, შანსი არ მექნებოდა".

„ატლეტიკოს" ძირითად შემადგენლობაში ტორესმა 17 წლისამ ითამაშა. რამდენიმე დღით ადრე ესპანელმა 18-წლამდელებმა მისი გოლებით ევროპის ჩემპიონატი მოიგეს და კლუბმაც მისი მთავარ გუნდში გადაყვანა გადაწყვიტა.

დებიუტი შთამბეჭდავი გამოდგა და უკვე მეორე თამაშში მასზე ლაპარაკი დაიწყეს. „ელ ნინო" (ბიჭი), როგორც მას ესპანეთში ეძახიან, „ალბასეტესთან" შეხვედრაში მეორე ტაიმში შეცვლაზე შევიდა. რამდენიმე წუთში მეტოქის ორ ფეხბურთელს წითელი ბარათები მიაღებინა, მერე კი გამარჯვების გოლიც გაიტანა. ამ ბიჭისგან ვარსკვლავი დადგებაო, თქვა მაშინ მადრიდელთა თავქარიანმა პრეზიდენტმა ხესუს ხილმა, ის ფენომენია და წინ გრძელი და დიდებული გზა აქვსო.

იმ, 2000-01 წლების სეზონში „ატლეტიკომ" პრიმერადივიზიონში დაბრუნება ვერ შეძლო. სულ ცოტა დააკლდა, მესამეადგილისან „ტენერიფეს" ოდენ ბურთების უარესი შეფარდებით ჩამორჩა. თუმცაღა მაშინვე „ვალენსიამ" ხილს ტორესში 30 მილიონი დოლარი შესთავაზა და ხილმა ცდუნებას გაუძლო.

მომდევნო სეზონი ტორესისთვის უიღბლო გამოდგა. რამდენიმე კარგი მატჩი კი ჩაატარა, მაგრამ ტრავმებმა ზოგადად სეზონი ჩააგდებინა და ბოლოს ექვსი გოლის ამარა დარჩა. მაგრამ „ატლეტიკომ" პრიმერადივიზიონში დაბრუნება შეძლო.

„წინა სეზონში ცუდად ვითამაშე. სამაგიეროდ, ბევრი რამ ვისწავლე. მაგალითად, უბურთოდ თამაში, მეურვის ეფექტურად ჩამოშორება. ფიზიკურადაც მოვუმატე. ერთი სიტყვით, ყველაფერი ის ვისწავლე, რაც ახლა პრიმერადივიზიონში გამომადგა" — დასძინა ტორესმა.

„ბარსელონასთან" მისმა თამაშმა, როცა ყმაწვილმა ფორვარდმა ბავშვივით გააბითურა ფრანკ დე ბური და თავისიანთა გამარჯვებას დაუდო საფუძველი (3:0), რონალდოს ათქმევინა: „ტორესმა უკვე დაგვანახა, რომ მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელად გახდომის ყველანაირი საფუძველი აქვს".

ხალხმა კი ტორესის რაულთან შედარებაც სცადა, მით უფრო, რომ „რეალის" თილისმის ფეხბურთელობაც „ატლეტიკოს" ბავშვთა სკოლიდან დაიწყო.

ფერნანდო ტორესი: „ქომაგებს უყვართ ფეხბურთელების ერთმანეთთან შედარება. რაულს იმიტომ მადარებენ, რომ მან მწვერვალს მიაღწია და ჩემგანაც იგივეს ელიან. შეიძლება, მართლაც ვგავდე რაღაცეებში რაულს, მაგრამ ერთი რამ ზუსტად ვიცი — მის გზას არ გავყვები და „რეალში" არასდროს გადავალ. 10 წლის ვიყავი, როცა „ატლეტიკოში" მოვედი და წასვლაზე არასდროს მიფიქრია. ხილიც მეუბნება, რომ გაყიდვას არ მიპირებს, მაგრამ ყველაფერი შეიძლება მოხდეს და თუ კლუბს ფინანსური მდგომარეობის გამოსასწორებლად ჩემი გაყიდვა მაინც მოუხდა, რა გაეწყობა".

სხვათა შორის, რაულმა პრიმერადივიზიონის თავის სადებიუტო სეზონში 9 გოლი გაიტანა, ფერნანდო ტორესს კი უკვე 11 დაუგროვდა. თუმცა ეს ჯერ არაფერს ნიშნავს.

**გიორგი დარჯანია**



ფერნანდო ტორესმა ფრანკ დე ბური გააბითურა



მოჩხუბარი ბიჭები: პაოლო დი კანიო და ლი ბოიერი

# ჩხუბიანი ერთგულება

**იტალიელი** თავდამსხმელი, პაოლო დი კანიო ლონდონის „ვესტ ჰემ იუნაიტედიდან" არ წავაო, განაცხადა თავად კლუბმა.

დი კანიოს წასვლა-დარჩენის საკითხი საერთოდ იმიტომ წამოიწია, რომ ინგლისის სხვა კლუბმა, პირველი დივიზიონის „რედინგმა" გამოხატა მისი გადაბირების ძალიან დიდი სურვილი, თუმცა, როდესაც შეიტყო, რომ ამ სურვილს საფუძველი არ ჰქონდა, საჯარო ბოდიში არ დაიგვიანა.

„საკითხი შევისწავლე და დავრწმუნდი, რომ დი კანიო „ვესტ ჰემის" ერთგულებით გამოირჩევა, ხოლო საკუთრივ ლონდონური კლუბი მისი გაყიდვით არ არის დაინტერესებული. ასე და ამგვარად, საქმე დახურულია, ვწუხვარ, თუ მცირე მღელვარება გამოვიწვიე — განაცხადა „რედინგის" ბოსმა ალან პერდიუმ და დასძინა — დი კანიოს თაობაზე პრესასთან არ უნდა მელაპარაკა. ეს შეცდომა იყო. „ვესტ ჰემის" მწვრთნელი, გლენ როედერი ძალიან ნაწყენი დამირჩა და მისი წყენა ჩემთვის სავსებით გასაგებია. ბოდიშს ვუხდი პირადად გლენს და მთელ „ვესტ ჰემს".

ალან პერდიუს ამ ბოდიშს „რედინგის" აღმასრულებელმა შეფმა ნაიჯელ ჰოუმ დასძინა: „მე ჩემს ვესტჰემელ კოლეგას, პოლ ოლდრიჯს ველაპარაკე და გავარკვიე, რომ ლონდონელები დი კანიოს არაფრით გაყიდიან. მინდა ისინი დავარწმუნო, რომ თუკი ოდესმე რომელიმე ფეხბურთელის შეძენას მოვიწადინებთ, ამის შესახებ უპირველეს ყოვლისა სწორედ კლუბს და სრულებით ოფიციალურად შევატყობინებთ".

აღსანიშნავია, რომ „რედინგს", რომელიც დღეს პირველ დივიზიონში მესამე ადგილზეა, ინგლისის უმაღლეს ლიგაში (პრემიერლიგა ერქმეოდა თუ რაიმე სხვა სახელი), არასდროს უთამაშია. რაც შეეხება დი კანიოს, იგი ნატკენ მუხლზე ოპერაციის ჩასატარებლად ერთი კვირის წინ სამშობლოში, კერძოდ, ბოლონიაში გახლდათ, მაგრამ ნაოპერაციევი ლონდონში დაბრუნდა.

დი კანიოს კონტრაქტს „ვესტ ჰემთან" ვადა ამ სეზონის ბოლოს ეწურება. იგი 34 წლისაა და მწვრთნელთან, ზემოხსენებულ როედერთან ფრიად ჩხუბიანი დამოკიდებულება აქვს. კერძოდ, ამასწინათ, უფრო სწორედ კი 23 თებერვალს, როდესაც იგი „ვესტ ბრომვიჩ ალბიონთან" შეხვედრაში შეცვალეს, იტალიელი ფორვარდი მწვრთნელს აუყვირდა.

**პაპუნა ძიდია**

# აქ, ყველაფერი მახარებს
## რავანელი უფულოდაც ყაბულსაა

**34 წლის** ფაბრიციო რავანელის, რომელიც რამდენიმე წლის წინ ევროპაში გამორჩეული ფორვარდი გახლდათ, ინგლისურ „დერბი ქაუნთისთან" კონტრაქტის ვადა მიმდინარე სეზონის ბოლოს უმთავრდება, მაგრამ იგი აცხადებს, რომ თუ კლუბს დასჭირდება, კიდევ ერთ წელიწადს დარჩება და, რაც მთავარია, უხელფასოდ.

„არ გამოვრიცხავ, რომ უხელფასოდ ვითამაშებ — ამბობს მოთამაშე, რომელმაც თანამედროვე ფეხბურთში, გოლის გატანის შემდეგ მაისურის თავზე წამოცმა დანერგა — ფულს ჩემთვის მნიშვნელობა არ აქვს. ჩემთვის და ჩემი ოჯახისთვის დერბიში დარჩენას უფრო დიდი ფასი აქვს, რადგან ამ ქალაქს ჩინებულად მოვერგეთ. ერთი სიტყვით, თუ „დერბის" თავმჯდომარე, მწვრთნელი და ქომაგები ისურვებენ, არ წავალ. თავს ღონივრად ვგრძნობ და „დერბი ქაუნთის" სიყვარულით მუხლჩაუხრელ ვარჯიშსაც განვაგრძობ".

რატომ უხელფასოდ? — ისმის კითხვა. იმიტომ, რომ „დერბის" ფინანსური გაჭირვება აქვს და სახელფასო ფონდი რამენაირად რომ შეემცირებინა, ამ სეზონში რამდენიმე საუკეთესო ფეხბურთელი გაყიდა. რაც შეეხება ადგილს პრემიერლიგის ცხრილში, იგი სავალალოა — გასავარდნებს მხოლოდ ორი საფეხურით აღემატება.

ამასწინათ ფაბრიციო რავანელის აქილევსის მყესი სტკიოდა და სამკურნალოდ რომში გახლდათ.

„ტრავმის შემდეგ დაბრუნება იოლი საქმე არ არის, მაგრამ ყველაფერს ვილონებ, რათა ძნელბედობისას კლუბს დავეხმარო. ბოლოს და ბოლოს, ამ ქალაქში ცხოვრება მსურს. ვფიქრობ, შეგვწევს მდგომარეობის გამოსწორების ძალა, რა თქმა უნდა, ქომაგების დახმარებით" — დასძინა „სკუადრა აძურაში" 22-ჯერ ნათამაშევმა და რვა გოლის ავტორმა კაცმა.

**პაპუნა ძიდია**




სამკურნალო გაერთიანება
„ლიგა"
დახმარება მსოფლიო სტანდარტების დონეზე
სექსოპათოლოგიის კლინიკა
- ერექციის ხარისხის გაუმჯობესება;
- სქესობრივი აქტის გახანგრძლივება;
- ნარუმატებლობის მოლოდინის შიშის მოხსნა;
- სექსუალური ცხოვრების აღდგენა შემდეგი და ვადებების ფონზე:
პროსტატიტი, შაქრიანი დიაბეტი, ტრავმები, ინვალიდობა, გულ-სისხლძარღვთა და ნევროლოგიური დაავადებები.

ანონიმურობა დაცულია ტელ: 32 21 21
ვაქცინაციის ცენტრი
- ფართო სპექტრის მომსახურება „ავენტის-პასტერის" ვაქცინებით (საფრანგეთი-ლიონი)
წინასწარი ჩაწერა ტელეფონით: 32-44-78

სამკურნალო-დიაგნოსტიკური გაერთიანება „ლიგა"
თბილისი 380086, ვაჟა-ფშაველას გამზ. 83/11, ტელ: 32 21 21; 32 21 15

*ომის მოლოდინმა ერაყელ ხალხთან ერთად იქ მომუშავე უცხოელებიც დააფრთხო. მათ შორისაა ერაყის საფეხბურთო ნაკრების გერმანელი მწვრთნელი ბერნდ შტანგე*

# ბაღდადური

## ჰუსეინს მწვრთნელი გაექცა

## სადამურსა სად წაიყვან...



**შტანგემ** სამწვრთნელო კარიერა 24 წლისამ დაიწყო, რადგან ტრავმამ ფეხბურთის თამაში აუკრძალა. 1980 წელს გდრ-ის ახალგაზრდული ნაკრები მისი თავკაცობით ევროპის ჩემპიონატის ფინალში გავიდა. 1983-88-ში ბერნდ შტანგე დემოკრატიული გერმანიის ნაკრების მწვრთნელად მუშაობდა. იქიდან საკლუბო ფეხბურთში, იენის „კარლ ცაისში" დაბრუნდა, სადაც თავის დროზე ფეხი აიდგა, როგორც მწვრთნელმა. „კარლ ცაისმა" პირველივე სეზონში მეორე ადგილი დაიკავა.

1990-94 წლებში იგი „ჰერტაში", შემდეგ „ლაიპციგში" მუშაობდა, საიდანაც დნეპროპეტროვსკის „დნეპრში" მიიწვიეს. მისი „დნეპრი" ვერცხლის მედალს შესვწდა. მოგვიანებით ბერნდ შტანგე გერმანიის ფეხბურთის კავშირმა დსთ-ს ქვეყნებში თავის ელჩად დანიშნა.

1998 წელს მან ავსტრალიისკენ გასწია. იქაური საფეხბურთო კლუბი „პერტ გლორი" ახალმა თავკაცმა სამ სეზონში ჩემპიონად აქცია. ავსტრალიაში წლის საუკეთესო მწვრთნელად აღიარეს.

მერე ბერნდ შტანგე ომანის ფეხბურთის ბოსებმა თავისი ნაკრების თავკაცად დანიშნეს, სადაც ერთი წელიწადი დაჰყო. შარშანდლიდან გერმანელმა სპეციალისტმა ერაყში გადაინაცვლა. იგი გუნდს 2006 წლის ჩემპიონატზე მოსახვედრად ამზადებდა, სადამ ჰუსეინმა კი ფეხბურთელები სამხედრო სამსახურში გაიწვია.

„ერაყი დიდი საფეხბურთო ქვეყანა არაა, მაგრამ მომავალი ნამდვილად აქვს — თქვა შტანგემ — რეიტინგში საკმაოდ მაღალი ადგილი უჭირავს. მას სულ ცოტა გავლა სჭირდება, რომ მუნდიალზე მოხვდეს. მსოფლიოს ამჟამინდელი პოლიტიკა პირდაპირ მაცოფებს. ომის საშიშროებამ ყველაფერი აურია. პოლიტიკაშიც ისეთივე მარტივი წესები რომ იყოს, როგორც ფეხბურთშია..."

54 წლის სპეციალისტმა ერაყის ფეხბურთის ფედერაციასთან კონტრაქტს შარშან მოაწერა ხელი. ფედერაციის პრეზიდენტი სადამ ჰუსეინის ვაჟი უდაი გახლავთ. ომანიდან ბერნდ შტანგე ცუდი შედეგების გამო დაითხოვეს. როცა ერაყიდან მიწვევა მიიღო, მწვრთნელმა გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს და ფიფას რჩევისთვის მიმართა, მერე კი უდაის წინადადებას დათანხმდა. ზოგიერთმა გერმანელმა პოლიტიკოსმა ივარაუდა, რომ შტანგეს ეს გადაწყვეტილება მცირე, მაგრამ სკანდალს გამოიწვევდა.

„სანამ ამ ნაბიჯს გადავდგამდი, ცხრა თვე ვყოყმანობდი — თავი გაიმართლა ბერნდ შტანგემ — უმუშევრად რომ დავრჩი, ვიფიქრე, ახლა კი დავისვენემეთქი, მაგრამ მერე უსაქმურობისგან შევლონდი და საკუთარ თავს ვუთხარი: ყველაფერი დამთავრდა, ამ ცხოვრებაში აღარაფერი გესაქმება".

გერმანელებს არ დავიწყებიათ თვისტომი კაცი. მას პრესაში ხან „ჰუსეინის მწვრთნელად", ხან „ბაღდადის მონად" მოიხსენიებდნენ. ზოგჯერ ძველ ცოდვებსაც გაუხსენებდნენ. ოდესღაც გდრ-ის სპეცსამსახურებთან თანამშრომლობდაო.

„ფეხბურთი მხოლოდ ფეხბურთია, პოლიტიკაში მისი არევა არ შეიძლება. კომუნისტებთანაც მიმუშავია, კაპიტალისტებთანაც, სულთანთანაც და ახლა დიქტატორთან ვარ. მერე რა, ჩემი სამუშაო ყოველთვის ერთი და იგივე იყო, რომლის არსიც მარტივია — ვასწავლო ბიჭებს გოლის გატანა. ერაყელები საკმაოდ ნიჭიერები არიან. ტექნიკა არ დაეწუნებათ, ბურთი კი ძალიან უყვართ. ტაქტიკური გაუნათლებლობა იმის ბრალია, რომ დანარჩენი სამყაროსგან მოწყვეტილნი არიან. გარდა ამისა, ფიზიკურად მოისუსტებენ. ზოგჯერ კანის, ან ზიდანის სურათებს ვაჩვენებდი ხოლმე, რომელზეც ფეხბურთელებს ოფლიანი მაისურები ტანზე აქვთ შემოტმასნული და კუნთები უჩანთ. როგორ ფიქრობთ, ვეკითხებოდი ერაყელ ბიჭებს, ეს კუნთები კარგი ფრანგული ყველის ჭამისგან დაებერათ? არა, ვარჯიში უნდა, ვარჯიში, თქვენც იშრომეთ და ასეთები გახდებით, მივუთითებდი სურათზე".

ბერნდ შტანგეს კონტრაქტი ოთხწლიანია. მასში არის პუნქტი, რომლის მიხედვითაც, ომის დაწყების შემთხვევაში მწვრთნელს ცალმხრივად შეუძლია გაწყვიტოს კავშირი ფედერაციასთან. ერთი თვის წინ გერმანელი სპეციალისტი შინ დაბრუნდა. გამგზავრების წინ კი ნაკრების ფეხბურთელებს დაახლოებით ასეთი შინაარსის წერილები გაუგზავნა: „ღმერთს ვთხოვ, რომ თქვენი ოჯახები გადაარჩინოს".

ამჟამად ბერნდ შტანგეს მიმოწერა აქვს თავის შეგირდებთან, რომლებსაც ჯარში უკრეს თავი. „ისინი ჩემი გეგმის მიხედვით მუშაობენ — თქვა გერმანელმა სპეციალისტმა — ყველაფერი გავთვალე, ვარჯიშისა და კვების რეჟიმი დავუწესე, რასაც ხელმიწვდომი ასრულებენ. ფეხბურთელები ხშირად მირეკავენ და მეკითხებიან: ბერნდ, როდის ჩამოხვალ? ძალიან მოვიწყინეთ უშენოდ!"

**ვაჟა ხუციშვილი**

# ბაიერნი ზაფხულში გაიყინება

## რუმენიგე ფიფას ჯიბეში ჩაუძვრა



**მიუნხენის** „ბაიერნის" ვიცე-პრეზიდენტმა კარლ ჰაინც რუმენიგემ ფიფას კარზე მიუკაკუნა. იგი თურმე ფინანსურ პრობლემებს აუფორიაქებია. „მსოფლიოს ჩემპიონატს — თქვა რუმენიგემ — მილიარდობით მოგება მოაქვს. მისგან მხოლოდ კლუბები ზარალობენ. მაგალითად, შარშან ზაფხულში 6-7 მილიონი ევრო დავხარჯეთ „ბაიერნის" ფეხბურთელებზე, რომლებიც ნაკრებთან ერთად იყვნენ მსოფლიოს ჩემპიონატზე. ფულს ვუხდით მოთამაშეებს მაშინაც, როცა ისინი ჩვენს განკარგულებაში არ არიან. ვფიქრობ, რომ ამიერიდან ფიფამ უნდა უხადოს ჯამაგირი ფეხბურთელებს იმ ტურნირებზე თამაშისთვის, რომლებსაც თვითონ აწყობს. საერთაშორისო კალენდარი ისედაც გადატვირთულია. აგერ, ჩემპიონთა ლიგის მეორე ჯგუფური ეტაპი მოვსპეთ და ახლა ივნისში კონფედერაციათა თასის გამართვის დროა? ეს ხომ კიდევ ზედმეტი ხარჯია."

„ბაიერნის" პრეზიდენტმა ფრანც ბეკენბაუერმა განაცხადა, ამ ზაფხულს ფეხბურთელების შეძენას აღარ ვაპირებთო: „შარშან საკადრო პრობლემები მოვაგვარეთ. ბალაკის, ზე რობერტოსა და დაისლერის შესაძენად 25 მილიონი ევრო დავხარჯეთ . „ვოლფსბურგიდან" ტჲბის რაუ, „რივერ პლეიტიდან" კი მარტინ დემიშელისი დავიმატეთ. მათ სანაცვლოდ 7 მილიონ 500 ათასი ევრო გავიღეთ. ეს უკვე საკმარისია. ჩემპიონთა ლიგიდან რომ გამოვვარდით, ფული მოგვაკლდა, მაგალითად, 2001-02 წლების სეზონში კლუბის ბიუჯეტმა 176 მილიონი ევრო შეადგინა და 11 მილიონი მოგება გვქონდა. ამჟამად ხელგაშლილები ვეღარ ვიქნებით, ამიტომ ახალ ფეხბურთელებს აღარ დავიმატებთ".

**ვაჟა ხუციშვილი**

# გაღმელები გამოღმელებზე

**ახლახან** ერთ-ერთ სატელევიზიო ინტერვიუში დიეგო მარადონას მადრიდის „რეალზე" ჰკითხეს. არგენტინელმა ბრძანა, „რეალის" გაწვრთნა, ვისენტე დელ ბოსკეს საქმე არაა. „დელ ბოსკე კარგი ადამიანია — თქვა მარადონამ — მაგრამ როგორც მწვრთნელი დიდი ვერაფერი კაცია. მას არც სჭირდება რაიმე განსაკუთრებულის ცოდნა, რადგან ვარსკვლავებით გადაჭედილი გუნდი ჰყავს. ვფიქრობ, რომ მან „რეალს" ხელი ვერ დაატყო. „სამეფო კლუბი" უკეთეს თავკაცს იმსახურებს, ისეთს, რომელსაც საკუთარი ხელწერა აქვს".



ლუის მენოტი

დიეგო არმანდომ ისიც დასძინა, ფეხბურთის ყურება აღარ მსიამოვნებსო: „ადრე გაცილებით უფრო საინტერესო იყო, ახლა კი ევროპული ქვეყნების ჩემპიონატები საერთოდ არ მიზიდავს". მან სიტყვა თვისტომელებსაც შეაწია — პაბლო აიმარი და ხავიერ სავიოლა საუკეთესო არგენტინელები არიან ევროპაშიო. რაც შეეხება ხუან რომან რიკელმეს, „[illegible] ანტიჩი ხშირად ათამაშებს ძირითადში, რიკელმე თავის კლასს აუცილებლად დაამტკიცებს" — თქვა მარადონამ.

აქვე მხცოვანი ლუის სესარ მენოტის ნააზრევსაც მოგახსენებთ, რომელმაც რონალდო ასე შეაფასა: „იგი ფეხბურთის გაგებაში არაა, მაკელელე ბევრად უკეთ თამაშობს. მაგალითად, რონალდომ არ იცის, როდის უნდა ითამაშოს ერთშეხებაში და როდის არა. გარდა ამისა, უამრავ საგოლე მომენტს ღუპავს". ასეთი კატეგორიულია მენოტი.

**ვაჟა ხუციშვილი**

## პორტუგალია

### პირველი ლიგა. XXV ტური

ვარზიმი 0:1 გიმარაეში

0:1 რ. დიასი (83)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუ | 25 | 21 | 3 | 1 | 54:19 | 66 |
| ბენფიკა | 25 | 16 | 5 | 4 | 53:19 | 53 |
| სპორტინგი | 25 | 15 | 4 | 6 | 40:26 | 49 |
| გიმარაეში | 25 | 12 | 5 | 8 | 40:32 | 41 |
| ლეირია | 25 | 10 | 6 | 9 | 36:36 | 36 |
| ჟილ ვისენტე | 25 | 11 | 3 | 11 | 35:37 | 36 |
| ბოავიშტა | 25 | 7 | 10 | 8 | 24:23 | 31 |
| ბელენენსეში | 25 | 8 | 7 | 10 | 32:36 | 31 |
| ფერეირა | 25 | 8 | 7 | 10 | 26:33 | 31 |
| ნასიონალი | 25 | 7 | 9 | 9 | 28:32 | 30 |
| ბრაგა | 25 | 7 | 9 | 9 | 22:34 | 30 |
| ვარზიმი | 25 | 8 | 5 | 12 | 29:33 | 29 |
| მარიტიმუ | 25 | 8 | 4 | 13 | 27:40 | 28 |
| მორეირენსე | 25 | 6 | 9 | 10 | 30:34 | 27 |
| სანტა კლარა | 25 | 6 | 9 | 10 | 31:38 | 27 |
| აკადემიკა | 25 | 6 | 7 | 12 | 27:39 | 25 |
| სეტუბალი | 25 | 4 | 11 | 10 | 28:35 | 23 |
| ბეირა მარი | 25 | 5 | 7 | 13 | 27:43 | 22 |

## იტალია

### სერია B. XXVI ტური

სიენა 0:0 ანკონა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სამპდორია | 26 | 12 | 10 | 4 | 37:20 | 46 |
| ანკონა | 26 | 12 | 9 | 5 | 37:27 | 45 |
| სიენა | 26 | 11 | 12 | 3 | 30:20 | 45 |
| ვიჩენცა | 26 | 11 | 10 | 5 | 39:31 | 43 |
| ტრიესტინა | 26 | 11 | 7 | 8 | 35:27 | 40 |
| ლეჩე | 26 | 9 | 13 | 4 | 30:24 | 40 |
| ლივორნო | 26 | 10 | 8 | 8 | 30:22 | 38 |
| ტერნანა | 26 | 10 | 8 | 8 | 30:26 | 38 |
| პალერმო | 26 | 9 | 8 | 9 | 26:28 | 35 |
| ვენეცია | 26 | 9 | 8 | 9 | 27:31 | 35 |
| მესინა | 26 | 8 | 10 | 8 | 37:34 | 34 |
| კალიარი | 26 | 9 | 7 | 10 | 27:33 | 34 |
| ვერონა | 26 | 7 | 10 | 9 | 28:27 | 31 |
| ასკოლი | 26 | 8 | 7 | 11 | 31:35 | 31 |
| ჯენოა | 26 | 7 | 9 | 10 | 32:32 | 30 |
| კატანია | 26 | 8 | 5 | 13 | 28:39 | 29 |
| ბარი | 26 | 5 | 12 | 9 | 22:26 | 27 |
| ნაპოლი | 26 | 5 | 11 | 10 | 26:35 | 26 |
| კოზენცა | 26 | 7 | 5 | 14 | 21:32 | 26 |
| სალერნიტანა | 26 | 4 | 7 | 15 | 19:43 | 19 |

## გერმანია

### მეორე ბუნდესლიგა XXV ტური

ვალდჰოფი 0:3 ფრაიბურგი

0:1 ბაირამოვიჩი (66), 0:2 რამდანე (83), 0:3 ცძიტიშვილი (90)

ფრაიბურგი: გოლცი, შუმანი (ვ. ბუტი 46), შ. მიულერი, ბერნერი, კობიაშვილი, ბაირამოვიჩი (დიარა 82), ჰერმელი, ცძიტიშვილი, კულიბალი, გუიე-მიენი (რამდანე 63), ტანკო

მწვრთნელი: ფოლკერ ფინკე

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კიოლნი | 25 | 14 | 11 | 0 | 53:28 | 53 |
| ფრაიბურგი | 25 | 14 | 6 | 5 | 39:20 | 48 |
| აინტრახტი | 25 | 13 | 8 | 4 | 39:21 | 47 |
| მაინცი | 25 | 13 | 4 | 8 | 40:26 | 43 |
| ტრირი | 25 | 12 | 6 | 7 | 43:31 | 42 |
| ალემანია | 25 | 10 | 9 | 6 | 41:32 | 39 |
| ფიურტი | 25 | 9 | 10 | 6 | 33:27 | 37 |
| ობერჰაუზენი | 25 | 9 | 6 | 10 | 29:29 | 33 |
| დუისბურგი | 25 | 8 | 9 | 8 | 33:34 | 33 |
| ბურგჰაუზენი | 25 | 7 | 11 | 7 | 38:32 | 32 |
| როიტლინგენი | 24 | 9 | 5 | 10 | 32:34 | 32 |
| ლიუბეკი | 25 | 9 | 4 | 12 | 36:36 | 31 |
| ალენი | 25 | 7 | 5 | 13 | 34:44 | 26 |
| უნიონი | 24 | 5 | 11 | 8 | 28:44 | 26 |
| კარლსრუე | 25 | 4 | 9 | 12 | 23:41 | 21 |
| ზტ. პაული | 25 | 5 | 6 | 14 | 34:53 | 21 |
| ვალდჰოფი | 25 | 5 | 6 | 14 | 27:50 | 21 |
| ბრაუნშვაიგი | 25 | 4 | 8 | 13 | 24:44 | 20 |




რეკლამა „სარბიელ"-ში
Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 94 33 80



სან ლორენსო — ბოკა ხუნიორსი.
ბოკელი კლემენტე როდრიგესი პირველ ადგილზე ახტა

# ბოკა გამოჩნდა

## არდილესმა კი მსაჯს აგინა

### არგენტინა

კლაუსურა

**მე-5 ტური: სან ლორენსო — ბოკა ხუნიორსი 1:2; რასინგი — როსარიო სენტრალი 2:2; რივერ პლეიტი — ესტუდიანტესი 1:0; ლანუსი — ბანფილდი 0:1; ოლიმპო — ნუევა ჩიკაგო 0:3; კოლონი — არსენალი 0:0; ველეს სარსფილდი — ტალიერესი 0:0; ჩაკარიტა ხუნიორსი — ურაკანი 3:0; ხიმნასია — უნიონი 2:1; ნიუელს ოლდ ბოიზი — ინდეპენდიენტე 2:2**

„**რასინგ კლუბის**“ მწვრთნელი ოსვალდო არდილესი სამწვრთნელო სკამიდან გააძევეს მატჩში, რომელიც მის გუნდს ჩემპიონატის ლიდერობად დაუჯდა. „რასინგი“ ხვდებოდა თავის მთავარ მდევარს, „როსარიო სენტრალს“, რომელსაც გამარჯვების შემთხვევაში ასევე შეეძლო პირველ ადგილზე გადასვლა.

შეხვედრა ფრედ, 2:2 დასრულდა, არდილესი კი თავიდანვე აუხირდა მსაჯ ფაბიან მადორანს, რომლის ყოველ ჩასტვენასაც ლანძღვით ეპასუხებოდა. მეორე ტაიმში მსაჯმა მოედნის კიდე დაატოვებინა მწვრთნელს.

არდილესმა მსაჯს უხამსი კაცი უწოდა, თუმცა, არც ის დარჩა ვალში.

„როცა გუნდი ვერ იგებს, არგენტინელი მწვრთნელები მსაჯს ერჩიან“ — თქვა მადორანმა.

„რასინგი“ კი კვლავაც რჩება დაუმარცხებელ გუნდად არგენტინის „დახურვის“ ჩემპიონატში. „როსარიოსთან“ მატჩის წინ კი 4 თამაშიდან 11 ქულით ლიდერი იყო.

არდილესის გუნდი „როსარიოსაც“ ორჯერ უგებდა ჩილელი მილოვან მიროსევიჩისა და მარიო გონსალესის გოლებით, თუმცა, ორჯერვე სესარ დელგადომ გაათანაბრა. „როსარიომ“ პენალტიც გააფუჭა პირველ ტაიმში: პაულო ფერარის გუსტავო კამპანუოლომ აულო. სხვათა შორის, ამ პენალტმა არდილესის პირველი დიდი აფეთქება გამოიწვია.

„რასინგ“ — „როსარიოს“ ფრემ კი პირველ ადგილზე კარლოს ბიანკის „ბოკა ხუნიორსი“ აიყვანა. „ბოკამ“ „სან ლორენცოს“ მოუგო 2:1. „სან ლორენცოს“ მეკარემ სებასტიან სახამ პენალტი დაარტყა და ბურთი კარს ააცილა. ეს იყო პირველ ტაიმში, როცა „სან ლორენცო“ ასე თუ ისე უტევდა. მეორეში კი ხავიერ ვილარიალმა და კლემენტე როდრიგესმა ერთბაშად ორი ბურთით დააწინაურეს ბოკელები. 80-ე წუთზე დამიან ლუნამ ერთი გოლი გაქვითა, სულ ბოლო წამს კი 36 წლის ალბერტო აკოსტას თამაშის გადარჩენა შეეძლო, თუმცა კარის წინიდან ვერ შეაგდო.

კვლავ ელის თავის პირველ გამარჯვებას ჩემპიონი „ინდეპენდიენტე“, რომელიც 19-ე ადგილზეა. „ინდეპენდიენტე“ 2:1 უგებდა „ნიუელს ოლდ ბოიზს“, მაგრამ ორი ქულა სებასტიან დომინგესის ავტოგოლით დაკარგა.

**ტურნირო ბუსტოს დომეკი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბოკა ხუნიორსი | 5 | 4 | 0 | 1 | 9:4 | 12 |
| როსარიო | 5 | 3 | 2 | 0 | 11:5 | 11 |
| რასინგი | 5 | 3 | 2 | 0 | 7:3 | 11 |
| ნუევა ჩიკაგო | 5 | 3 | 1 | 1 | 11:6 | 10 |
| რივერ პლეიტი | 5 | 3 | 1 | 1 | 7:4 | 10 |
| ველესი | 5 | 3 | 1 | 1 | 4:1 | 10 |
| უნიონი | 5 | 2 | 2 | 1 | 8:5 | 8 |
| კოლონი | 5 | 2 | 2 | 1 | 5:4 | 8 |
| ოლიმპო | 5 | 2 | 1 | 2 | 7:6 | 7 |
| ხიმნასია | 5 | 2 | 1 | 2 | 7:9 | 7 |
| ოლდ ბოიზი | 5 | 1 | 3 | 1 | 7:6 | 6 |
| ესტუდიანტესი | 5 | 2 | 0 | 3 | 3:5 | 6 |
| არსენალი | 5 | 1 | 2 | 2 | 2:4 | 5 |
| ბანფილდი | 5 | 1 | 2 | 2 | 5:8 | 5 |
| ტალიერესი | 5 | 1 | 2 | 2 | 2:5 | 5 |
| ჩაკარიტა | 5 | 1 | 1 | 3 | 4:4 | 4 |
| ლანუსი | 5 | 1 | 1 | 3 | 3:5 | 4 |
| სან ლორენსო | 5 | 0 | 3 | 2 | 6:10 | 3 |
| ინდეპენდიენტე | 5 | 0 | 2 | 3 | 3:10 | 2 |
| ურაკანი | 5 | 0 | 1 | 4 | 3:10 | 1 |

# ბრაზილია 2014

## მსოფლიოს მეოცე ჩემპიონატი

### სამხრეთ ამერიკამ ფიფას არჩევანი წაართვა



**თუ ქვეყანა** არ დაიქცა და ფიფამაც თავისი სიტყვა უკან არ წაიღო, 2014 წელს მსოფლიოს ჩემპიონატს ბრაზილია უმასპინძლებს.

მოგეხსენებათ, ფიფამ მუნდიალის მასპინძლობის როტაციის წესი დანერგა, რითაც დიდი ფეხბურთის გავრცელების არეალი გააფართოვა, ანუ კონტინენტები რიგრიგობით უმასპინძლებენ ჩემპიონატს. 2002 წელს მუნდიალს აზიამ უმასპინძლა, 2006-ში ევროპა (გერმანია) უმასპინძლებს, 2010-ში აფრიკა, ხოლო 2014 წელს სამხრეთ ამერიკა. ჰოდა, რაკი ასეა, ათივე სამხრეთამერიკული ფედერაციის მეთაური ასუნსიონში, პარაგვაის დედაქალაქში შეიკრიბა და ახლავე, თერთმეტი წლით ადრე დაასახელა მუნდიალის მასპინძელი ქვეყანა.

მასპინძლობის სურვილს რვა ქვეყანა შეეპყრო, ანუ ყველა ურუგვაისა და პარაგვაის გარდა. ბრაზილიამ გაყოფა არავისთან ინდომა და დამოუკიდებლად წარადგინა კანდიდატურა. ჩილე არგენტინას შეეკრა, ხოლო ხუთი ინდური სახელმწიფო: პერუ, ბოლივია, ეკვადორი, კოლუმბია და ვენესუელა ერთობლივი განაცხადით გამოვიდნენ.

მსჯელობამ სულ ორი საათი გასტანა და კაცმა რომ თქვას, სალაპარაკოც ბევრი არაფერი იყო. გამართული პროექტის წარდგენა არავისგან მოუთხოვიათ. პრეტენდენტებმა ოდენ ფეხბურთში საკუთარ ღვაწლზე ილაპარაკეს და მასპინძლობაზე მათი პრეტენზიაც ამ ფაქტორს ემყარებოდა.

რაკი ღვაწლზე მიდგა საქმე, ამ ამბავში ბრაზილიას აბა, ვინ გაეტოლებოდა და საბოლოოდ სხვებმაც კონტინენტის უდიდეს ქვეყანას დაუჭირეს მხარი.

„მუშაობას ახლავე უნდა შევუდგეთ — თქვა ბრაზილიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა, ჟოაო ავლანჟის ყოფილმა სიძემ, რიკარდო ტეიშეირამ — ზოგიერთ ჩვენს სტადიონს რეკონსტრუქცია სჭირდება და ბევრი სხვა საკითხიც მოსაწესრიგებელი გვაქვს, მაგრამ წინ თერთმეტი წელიწადია და ყველაფერს მოვასწრებთ. ჩვეულებრივ ხომ ფიფა ექვსი წლით ადრე ასახელებს მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძელს, ჩვენ კი თითქმის ორჯერ მეტი დრო გვაქვს“.

სამხრეთ ამერიკის ფეხბურთის კონფედერაციის გადაწყვეტილება ფიფას აღმასკომმა უნდა დაამტკიცოს. უფრო სწორად, ფიფას აღმასკომს მუნდიალის მასპინძლობის მსურველი სამხრეთული ქვეყნებიდან საუკეთესო კანდიდატი უნდა აერჩია, მაგრამ რაკი ბრაზილიას კონკურენტი არ ჰყავს, ასარჩევიც აღარაფერია და მხოლოდ დამტკიცება მოუწევს.

ბოლოს კი გავიხსენოთ, რომ აქამდე ჩატარებულ მსოფლიოს ჩემპიონატებს ცხრაჯერ ევროპამ უმასპინძლა, სამჯერ ჩრდილოეთ ამერიკამ, აზიამ და ოთხჯერ სამხრეთ ამერიკამ: 1930 — ურუგვაი, 1950 — ბრაზილია, 1962 — ჩილე და 1978 — არგენტინა.

**გიორგი დარჯანია**

# სამხრეთული დარდუბალა

# ჩვენ რომ მივდიოდით, ისინი მოდიოდნენ

## არგენტინაში ბოლივიელებს ბოლივიური არ ანახეს

**ბოლივიაში** სეზონი „აეროსურის“ თასის გათამაშებით დაიწყო. „აეროსური“ იქაური ავიაკომპანიაა და საკუთარი რეკლამისთვის ეს შეჯიბრება მოიგონა. სამხრეთ ამერიკის ქვეყნებში ისედაც ათასგვარი აზრიანი თუ უაზრო ტურნირი იმართება და ერთით მეტი საქმეს არ წაახდენს. ფინალში „ორიენტე პეტროლერო“ და „ვილსტერმანი“ გავიდნენ. თამაში კი რატომღაც ბუენოს აირესში გაიმართა. აქაოდა, არგენტინის დედაქალაქში უზარმაზარი ბოლივიური სათვისტომოა და ჩვენებური ფეხბურთი იმათაც ვაჩვენოთო.

მოკლედ, ფინალი ბუენოსაირესული ქვედალიგელი „დეპორტივო ესპანიოლის“ 25-ათასიან სტადიონზე დაინიშნა და შეხვედრის მომწყობები სტადიონის სრულად გავსებას ელოდნენ. მაგრამ აი, რა მოხდა: თამაში კვირას საღამოს უნდა ჩატარებულიყო, ბუენოს აირესის პოლიციამ კი შაბათ საღამოს გუნდებს და ორგანიზატორებს გამოუცხადა, დღისით ითამაშებთო. იმავე დღეს, არგენტინის კლაუსურაში, „დეპორტივო ესპანიოლის“ სტადიონიდან ორიოდე უბნის იქით, „სან ლორენსო“ და „ბოკა ხუნიორსი“ თამაშობდნენ და პოლიციამ, ერთდროულად ორი შეხვედრისთვის თვალყურის დევნებას ვერ შევძლებთო.

ბოლივიელთა თამაშის ნახვის მსურველები ამას აბა, საიდან გაიგებდნენ და 25 ათასის ნაცვლად ფინალს ოდენ სამასი კაცი დაესწრო. „გაცოფებული ვარ, მსგავსი არაფერი მინახავს — თქვა. ნამატჩევს „ორიენტეს“ არგენტინელმა მწვრთნელმა, 1986 წლის მსოფლიოს ჩემპიონმა ნესტორ კლაუსენმა — თამაშის მერე ავტობუსში რომ ჩავსხედით, ხალხი მაშინ მოდიოდა სტადიონზე და ვერაფერი გავიგოთ“.

ისე, მოტყუებულმა ხალხმა იკითხოს, თორემ კლაუსენს რა ენაღვლება, მისმა გუნდმა 1:0 მოიგო და თასთან ერთად „აეროსურის“ თვითმფრინავებით მთელი წელი უფასოდ მგზავრობის უფლებაც მიიღო. დამარცხებული გუნდი კი ამავე ავიაკომპანიის ბილეთებს ნახევარ ფასში იყიდის.

ჩილეს ჩემპიონატში კი წინა უქმეებზე დედაქალაქური დერბი იყო, „უნივერსიდად დე ჩილე“ „კოლო კოლოს“ შეხვდა. თამაში უგოლოდ დასრულდა და სტუდენტთაგან ძველი ნიუკასლელი და პარმელი ფორვარდი ფაუსტინო ასპრილია გააძევეს. ნამატჩევს კი ქომაგები ერთმანეთს დაერივნენ და ერთმანეთს ქართულად ქვები დაუშინეს. პოლიციამ 40 კაცი დაიჭირა.

პარაგვაიში სრულად გამაოგნებელი ამბავი მოხდა. არა, არავის უჩხუბია და არც რამე მსგავსი ამბავი მომხდარა, უბრალოდ „ოლიმპიამ“ შინ 1:4 წააგო „ტაკუარისთან“. „ოლიმპია“, მოგეხსენებათ, ლიბერტადორესის თასის მფლობელია, „ტაკუარი“ კი თავის ისტორიაში პირველად ალზევდა პირველ დივიზიონში და აგერ, რამხელა სენსაციაც გააჩერხა.

**ძოტე ძეძელია**



„ორიენტე პერტოლეროს“ გამარჯვებას მაყურებელი არ ჰყავდა

# ამის გაშვება იქნება?!

## სერხიო მარქარიანს სამშობლომ დაუძახა

„**პანათინაიკოსის**“ მწვრთნელი სერხიო მარქარიანი ეგებ ურუგვაის ნაკრებს ჩაუდგეს სათავეში. მარქარიანს ბერძნულ კლუბთან კონტრაქტი სეზონის ბოლოს ეწურება, ურუგვაიდან კი პასუხს ახლავე სთხოვენ.

„სამშობლოდან შემეხმიანენ და ნაკრების გაწვრთნა შემომთავაზეს — უთხრა მარქარიანმა ბერძენ ჟურნალისტებს — კლუბის პრეზიდენტს ამის თაობაზე უკვე მოვახსენე. ზაფხულიდან თავისუფალი ვარ და ამიტომ ურუგვაის ფედერაციასთან მოლაპარაკების დაწყება შემიძლია“.

კლუბში კი ამბობენ, შევეცდებით, ურუგვაელთა შეთავაზებაზე ხელი ავაღებინოთ და ჩვენთან დავტოვოთო.

შეგახსენებთ, რომ მარქარიანი თავის დროზე პარაგვაის ნაკრების მწვრთნელი იყო, იქიდან წასული „პანათინაიკოსმა“ მიიღო, მერე გაუშვეს და წინა ნოემბერში ისევ დააბრუნეს. მეორედ მისულმა ფერნანდო სანტო შეცვალა.



ახლა „პანათინაიკოსი“ საბერძნეთის ჩემპიონატის ლიდერია და „ოლიმპიაკოსს“ სამი ქულით უსწრებს. ხვალ კი ბერძნები უეფას თასის საპასუხო მეოთხედფინალურ მატჩში „პორტუს“ მასპინძლობენ და რაკი სტუმრად 1:0 აქვთ მოგებული, ნახევარფინალში გასვლის დიდი შანსიც აქვთ. ჰოდა, კლუბს ასეთი მწვრთნელის გაშვება აბა, რად ენდომება.

**გიორგი დარჯანია**

## დავით ყიფიანის თასი

მეოთხედფინალი. პირველი მატჩები

# PROTESTO!



# მანწკავა არაფერ შუაში და სულაც თავში

თბილისი. 18 მარტი. 15 საათი. ტრიბუნაზე: 1 000 (ტევადობა 70 900)

## დინამო 1:0 ვიტ ჯორჯია

1:0 კარლოსი (57)

**დინამო:** გვარამაძე, გაშაკიძე (კანდელაკი 46), შაშიაშვილი, ამისულაშვილი, კარლოსი, სახვაძე, გოგობერიშვილი, აშრაბაძე (კვირკველია 75), დარასელია, ალექსიძე, ბობოხიძე (ი. სამხარაძე 81)
*სათადარიგონი:* ზოიძე, ხიზანეიშვილი, გ. გ. მიქაძე, მანწკავა
**მწვრთნელი:** ივო შუშკუ

**ვიტ ჯორჯია:** მერლანი, კობიაშვილი, იმნაძე (დ. მერებაშვილი 37), მუჯირი, გველესიანი, ლ. ნოზაძე, დიღმელაშვილი, გ. გოჩაშვილი (ადამია 63), ბოლქვაძე (ფერიკაშვილი 69), დათუნაიშვილი, მელქაძე
*სათადარიგონი:* ჭურაძე, ჯობაძე, ე. მერებაშვილი, კვახაძე
**მწვრთნელი:** ჯანი კარნევალი

**გაფრთხილება:** გოგობერიშვილი (31), დათუნაიშვილი (33)

**მსაჯები:** კ. მესხი (ზუგდიდი); გ. ცირდავა (გულრიფში), ა. სამხარაძე (სოხუმი); ლ. ფანიაშვილი (თბილისი)

**სფფ-ის ინსპექტორი:** ა. მილჩენკო; **დირექტორი:** რ. შოთაძე

**ჯარიმა:** 19-15; **კუთხური:** 2-2; **კარისკენ დარტყმა:** 6-7; **კარში დარტყმა:** 5-2; **თამაშგარე:** 2-3

**კობა ინასარიძე**

**„დინამო“ — „ვიტ ჯორჯიას“** მატჩები, გინდ სათასო, გინდ ჩემპიონატისა, მუდამ დაძაბული, სასეირო და პრინციპული რომაა, ამის თქმა ზედმეტიც კია. თუმც გუშინ ამ გუნდებისგან ნაჩვევი ფეხბურთი ეპიზოდურად თუ ვნახეთ. შესვენებამდე მეტოქეთაგან თითო-ოროლა მომენტი თუ იყო ჩასანიშნი.

მეორე ტაიმში მატჩი კი გამოცოცხლდა, „დინამო“ — „ვიტ ჯორჯია“ ძველებურ დაპირისპირებას დაემსგავსა, მაგრამ ის მარილი მაინც აკლდა, რითაც აქამდე გამოირჩეოდა. ტრიბუნამ პირველად 57-ე წუთზე იხუვლა, როცა ბრაზილიელმა კარლოსმა მეტოქის საჯარიმოსთან კედელი გაუთამაშა ალექსიძეს. დაბრუნებულ ბურთს კი ფეხი მალიანად ამოსცხო და კარის შორეულ კუთხეს დაუმიზნა. მცველთაგან დაფარულმა მეკარე მერლანმა, ეტყობა, დარტყმის მომენტი და ბურთი ვერ დაინახა და რეაქციაც დაუგვიანდა. ბურთსაც სველ გაზონზე სისწრაფე შეემატა და კარში აღმოჩნდა — 1:0. „დინამოს“ იერიშები არც ამის შემდეგ განელებულა, თუმც როგორც მანამდე „ვიტ ჯორჯია“ თავს მშვიდად იცავდა და ისეც კი უტევდა, ერთი გოლის გატანას მაინც იმსახურებდა. ადამიას და ნოზაძეს ისეთი მომენტები გაუცუდდათ, ასპროცენტიანები რომ ეთქმის. მოკლედ, სათასო მეოთხედფინალის პირველი შეხვედრა „დინამომ“ 1:0 მოიგო, მოიგო, მაგრამ...

| 23.45 | 2007 | რომა-აიაქსი | 2,25 | 2.1 | 4.8 | 1,08 | 1,53 | 1,46 |
| 23.45 | 2008 | ვალენსია-არსენალი | 2.6 | 2,05 | 3.6 | 1,14 | 1.5 | 1.3 |
| | | **20 მარტი** | | | | | | |
| 22.30 | 2009 | პანათინაიკოსი-პორტუ | 2,45 | 2.05 | 4,0 | 1.11 | 1,51 | 1,35 |
| 23.00 | 2010 | ბეშიქთაში-ლაციო | 2.9 | 2.05 | 3.3 | 1.2 | 1.54 | 1.26 |
| 00.05 | 2011 | ლივერპული-სელტიკი | 2.1 | 2.15 | 5.3 | 1.06 | 1.5 | 1,52 |
| 01.00 | 2012 | ბოავიშტა-მალაგა | 2,9 | 2,0 | 3.4 | 1,18 | 1,56 | 1.25 |

### უეფას თასი. შემდეგ ეტაპზე გასვლა
**20 მარტი**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 22.30 | 2701 | პანათინაიკოსი-პორტუ | 1.15 | 4.0 |
| 23.00 | 2702 | ბეშიქთაში-ლაციო | 3,5 | 1.2 |
| 00.05 | 2703 | ლივერპული-სელტიკი | 1,15 | 4.0 |
| 01.00 | 2704 | ბოავიშტა-მალაგა | 3,5 | 1.2 |

# ოსკარი-2003

22 მარტი (23.45)

**4001 საუკეთესო ფილმი**

| | |
|---|---|
| ჩიკაგო | 1.15 |
| საათები | 4.0 |
| ნიუ იორკის ბანდები | 6.0 |
| პიანისტი | 12.0 |
| ბეჭდების მბრძანებელი-2 | 15.0 |

**4002 საუკეთესო მსახიობი მამაკაცი**

| | |
|---|---|
| დენიელ დეი ლუისი | 1.25 |
| ჯეკ ნიკოლსონი | 2.2 |
| ედრიენ ბროდი | 7.0 |
| მაიკლ კეინი | 25.0 |
| ნიკოლას კეიჯი | 25,0 |

**4003 საუკეთესო მსახიობი ქალი**

| | |
|---|---|
| ნიკოლ კიდმანი | 1,35 |
| რენე ზელვეგერი | 2.0 |
| ჯულიან მური | 3.8 |
| დაიან ლეინი | 20,0 |
| სალმა ჰაიეკი | 25.0 |

**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

# ჩემპიონები და თასის აღება

**უეფას თასი**
**20 მარტი (22.30)**

| | | |
|---|---|---|
| 022 | ლივერპული | 2,8 |
| 021 | ლაციო | 3,5 |
| 027 | პანათინაიკოსი | 5,5 |
| 026 | მალაგა | 6,5 |
| 025 | სელტიკი | 7,0 |
| 024 | პორტუ | 9,0 |
| 032 | ბეშიქთაში | 12,0 |
| 034 | ბოავიშტა | 20,0 |

**ინგლისი. პრემიერლიგა**
**22 მარტი (16.30)**

| | | |
|---|---|---|
| 051 | არსენალი | 1,35 |
| 052 | მანჩესტერი | 2,5 |
| 055 | ნიუკასლი | 12,0 |

**იტალია. სერია A**
**22 მარტი (21.00)**

| | | |
|---|---|---|
| 063 | იუვენტუსი | 1,75 |
| 062 | ინტერი | 2,3 |
| 061 | მილანი | 4,0 |

**ესპანეთი. I დივიზიონი**
**22 მარტი (00.30)**

| | | |
|---|---|---|
| 071 | რეალი | 1,2 |
| 072 | სოსიედადი | 3,2 |
| 073 | ვალენსია | 4,0 |
| 074 | დეპორტივო | 4,0 |

**საფრანგეთი. I დივიზიონი**
**19 მარტი (22.30)**

| | | |
|---|---|---|
| 082 | ლიონი | 2,6 |
| 081 | მარსელი | 2,6 |
| 083 | მონაკო | 2,6 |
| 089 | ბორდო | 3,5 |
| 088 | ნანტი | 10,0 |
| 085 | პსჟ | 12,0 |
| 084 | ოსერი | 12,0 |
| 086 | ნიცა | 20,0 |
| 087 | ლანსი | 30,0 |

**ჰოლანდია. I დივიზიონი**
**23 მარტი (16.00)**

| | | |
|---|---|---|
| 101 | პსვ | 1,05 |
| 102 | აიაქსი | 6,0 |

**საბერძნეთი. I დივიზიონი**
**22 მარტი (18.00)**

| | | |
|---|---|---|
| 121 | ოლიმპიაკოსი | 1,7 |
| 122 | პანათინაიკოსი | 1,7 |
| 124 | აეკ | 12,0 |

**ჩეხეთი**
**22 მარტი (17.25)**

| | | |
|---|---|---|
| 191 | სპარტა | 1,5 |
| 192 | სლავია | 2,0 |

**პოლონეთი**
**18 მარტი (21.30)**

| | | |
|---|---|---|
| 196 | ვისლა | 1,2 |
| 197 | ლეგია | 3,0 |
| 198 | კატოვიცე | 6,0 |
| 199 | ოდრა | 8,0 |

**თურქეთი. I ლიგა**
**19 მარტი (22.00)**

| | | |
|---|---|---|
| 132 | ბეშიქთაში | 1,4 |
| 131 | გალათასარაი | 2,3 |

**შოტლანდია. პრემიერლიგა**
**19 მარტი (23.45)**

| | | |
|---|---|---|
| 141 | რეინჯერსი | 1,5 |
| 142 | სელტიკი | 2,0 |

**დანია. სუპერლიგა**
**22 მარტი (20.00)**

| | | |
|---|---|---|
| 151 | კოპენჰაგენი | 1,05 |
| 152 | ბრიონდბიუ | 3,5 |
| 153 | ოლბორგი | 12,0 |

**შვეიცარია. A ლიგა**
**22 მარტი (20.30)**

| | | |
|---|---|---|
| 162 | გრასჰოპერი | 1,4 |
| 161 | ბაზელი | 2,2 |

**ჰოკეი. NHL**
**სტენლის თასი**
**7 აპრილი (23.45)**

| | | |
|---|---|---|
| 201 | დეტროიტი | 4,0 |
| 202 | დალასი | 4,0 |
| 203 | ფილადელფია | 6,0 |
| 205 | ნიუ ჯერსი | 6,0 |
| 207 | ოტავა | 6,0 |
| 206 | კოლორადო | 7,0 |
| 208 | ვანკუვერი | 8,0 |
| 209 | სენტ ლუისი | 10,0 |
| 212 | ტორონტო | 12,0 |
| 204 | ბოსტონი | 15,0 |
| 210 | ტამპა ბეი | 20,0 |
| 215 | ვაშინგტონი | 20,0 |
| 211 | მინესოტა | 25,0 |
| 224 | აილენდერსი | 40,0 |
| 214 | ლოს ანჯელესი | 50,0 |
| 217 | მონრეალი | 50,0 |
| 218 | ანაჰაიმი | 50,0 |
| 221 | ედმონტონი | 50,0 |
| 213 | კაროლინა | 75,0 |
| 219 | პიტსბურგი | 75,0 |
| 220 | ჩიკაგო | 75,0 |
| 222 | რეინჯერსი | 75,0 |
| 216 | სან ხოსე | 100,0 |
| 223 | ფლორიდა | 100,0 |
| 225 | ფინიქსი | 100,0 |
| 226 | კოლუმბუსი | 300,0 |
| 227 | კალგარი | 300,0 |
| 228 | ბუფალო | 300,0 |
| 229 | ატლანტა | 500,0 |
| 230 | ნეშვილი | 500,0 |

**კალათბურთი. NBA. თასი**
**17 აპრილი (23.45)**

| | | |
|---|---|---|
| 231 | დალასი | 3,0 |
| 232 | საკრამენტო | 3,0 |
| 233 | ლეიკერსი | 3,0 |
| 236 | სან ანტონიო | 7,0 |
| 234 | ნიუ ჯერსი | 9,0 |
| 235 | ინდიანა | 10,0 |
| 237 | ფილადელფია | 20,0 |
| 238 | ბოსტონი | 20,0 |
| 241 | დეტროიტი | 20,0 |
| 242 | პორტლენდი | 20,0 |
| 244 | მინესოტა | 30,0 |
| 239 | ორლანდო | 50,0 |
| 240 | ნიუ ორლეანი | 50,0 |
| 243 | ჰიუსტონი | 50,0 |
| 247 | მილუოკი | 50,0 |
| 248 | იუტა | 50,0 |
| 246 | ფინიქსი | 75,0 |
| 245 | სიეტლი | 100,0 |
| 250 | ვაშინგტონი | 100,0 |
| 251 | ტორონტო | 150,0 |
| 252 | ნიუ იორკი | 150,0 |
| 249 | ატლანტა | 200,0 |
| 253 | კლიპერსი | 200,0 |
| 254 | მაიამი | 500,0 |
| 255 | ჩიკაგო | 500,0 |
| 256 | გოლდენ სტ. | 999,0 |
| 257 | მემფისი | 999,0 |
| 258 | დენვერი | 999,0 |
| 259 | კლივლენდი | 999,0 |

**კალათბურთი. ევროლიგა**
**19 მარტი (21.00)**

| | | |
|---|---|---|
| 262 | ბენეტონი | 2,3 |
| 261 | ბარსელონა | 2,5 |
| 264 | ცსკა | 3,5 |
| 263 | პანათინაიკოსი | 5,0 |
| 268 | ოლიმპიაკოსი | 10,0 |
| 274 | სიენა | 10,0 |
| 269 | მაკაბი | 12,0 |
| 272 | ეფესი | 12,0 |
| 270 | ოლიმპია | 20,0 |
| 273 | სკიპერი | 25,0 |
| 265 | ტაუ | 50,0 |
| 275 | ულქერი | 50,0 |
| 271 | უნიკახა | 100,0 |
| 266 | კინდერი | 200,0 |
| 276 | ციბონა | 200,0 |
| 277 | ვილერბანი | 250,0 |


სარბიელი

სპორტული ლატარია

CROCO

BOOKMAKERS

კროკო

ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქების სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება.


## კროკოს ბიუროთა მისამართები

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | ფურცელაძის ქუჩა №10 | კინოთეატრ „რუსთაველის" შენობაში |
| | ალმაშენებლის გამზირი | №2 ცენტრალური ფოსტამტი |
| | გლდანი | I სავაჭრო ცენტრი |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №46 | მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან" (ყოფილი „დელისი") |
| | წინამძღვრიშვილის ქუჩა №200 | ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში |
| | გურამიშვილის გამზირი №50 | მეტრო „ღრმაღელესთან" |
| | წერეთლის გამზირი, კორპუსი №11 | |
| | ქავთარაძის გამზირი № 41 | |
| | გამსახურდიას გამზირი № 3 | |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №91 | |
| | იოანე პეტრიწის ქუჩა № 13 | დიდი დიღომი, მეორე მიკრორაიონი |
| | ხუდადოვის ქუჩა №4 | |
| | დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, 1ა კორპუსი | |
| | ვარკეთილი, კალოუბნის „აბ" კორპუსი №48 | |
| | მელიქიშვილის ქუჩა №15 | |
| ქუთაისი | პუშკინის ქუჩა№16 | ტელეკომპანია „ივერიონის" შენობაში |
| | ფალიაშვილის ქუჩა№ 27 | |
| | ჭავჭავაძის № 67 | ცენტრალური ავტოსადგური |
| გორი | ცხინვალის გზატკეცილი №11 | წმინდანულის დასახლება |
| | სტალინის ქუჩა №14 | |
| თელავი | კოსტავას ქუჩა №23 | |
| რუსთავი | შარტავას ქუჩა №7 | |
| | კოსტავას გამზირი №23 | |
| ბათუმი | მემედ აბაშიძის ქუჩა №21 | ყოფილი სტალინის ქუჩა |
| | ერას ქუჩა №66 | ყოფილი გორკის ქუჩა |
| | ჯავახიშვილის ქუჩა №78 | |
| | ჭავჭავაძის ქუჩა № 113 | |
| | ალმაშენებლის ქუჩა № 21 | (სავაჭრო ცენტრი ალამი 1) |
| | ჭავჭავაძის ქუჩა № 13 | |
| ხელვაჩაური | ალმაშენებლის ქუჩა № 50 | |
| მარნეული | რუსთაველის ქუჩა №39 | |
| ოზურგეთი | გურიის ქუჩა №23 | |
| გურჯაანი | დავით გურამიშვილის ქუჩა №28 | |
| ფოთი | რკალი, რუსთაველის №18 | |
| საგარეჯო | დავით აღმაშენებლის №30 | |
| სამტრედია | რუსთაველის გამზირი №27 | |
| ხაშური | რუსთაველის ქუჩა №16 | |
| წნორი | სტალინის ქუჩა №1 | |
| ბორჯომი | რუსთაველის ქუჩა №145 | |
| ზესტაფონი | გრიგოლ რობაქიძის ქუჩა №6 | |
| ახალციხე | ნათენაძის ქუჩა №7 | |
| ქობულეთი | სასტუმრო „ივერიის" მიმდებარე ტერიტორია | |
| სარფი | საბაჟო პუნქტის პირდაპირ | |

## საქართველოს ჩემპიონატი

18 მარტი. ვერის ბაღი

### თსუ 86:80 სსუ

19:12, 20:26, 27:20, 20:22

**თსუ:** ბ. ბერიშვილი (21), ვეფხვაძე (6), შანიძე (20), ორმოცაძე, კილაძე (14); ი. მაისურაძე (9), სანიკიძე (12), მიქაძე (4), კორძაძე

**სსუ:** ურიდია (15), კანკია (2), სორდია (20), ქვილითაია (2), აბულაძე (20); ჩიტაშვილი (8), ბარბაქაძე (10), ლუკავა (3)

**მსაჯები:** მაკა კუპატაძე, ზურაბ აბაშიძე; **კომისარი:** როლანდ ხომერიკი

### სტუ 82:85 აზოტი

14:21, 19:19, 25:23, 24:22

**სტუ:** ტუღუში (14), ხეცურიანი (6), ლოსაბერიძე (26), ტუჯანი (15), ოთიურიძე (2); გაგნიძე (6), მარხვაშვილი, დავითულიანი (2), ახალკაცი (11)

**აზოტი:** ელენტი (23), გოგობერიშვილი (18), კოკოლიშვილი (10), ბერუაშვილი (8), ჯაფარიძე (11); გაბისონია (2), ტყეშელაშვილი (4), არწივიძე (3), მაჭარაძე (4), ჯიმშელეიშვილი (2)

**მსაჯები:** ზაზა მაჩალაძე, დავით ბერეკაშვილი; **კომისარი:** მურმან ქურიძე

# პრინციპის საქმე

## აზოტი ბოლო-ბოლო ბოლომდე



რამაზ გოგობერიშვილი

რუსთავის „აზოტი" გუშინ სერიოზულ გამოცდაზე გავიდა. ქვემოქართლელებს, რომლებმაც ამას წინათ თასის ნახევარფინალში „დინამო" გააცამტვერეს და მას მერე ყველა პრინციპული მატჩი წააგეს, ჩემპიონატის ერთ-ერთ ფავორიტ „სტუ-ჯეოსელთან" შეხვედრაში უნდა დაემტკიცებინათ, რომ თამაშის იმტა ჯერაც არ განელებიათ.

თავის მხრივ სტუდენტებსაც საკმარისი მოტივაცია ჰქონდათ, წინა მატჩში „დინამოსთან" წაგებულები რუსთაველთა დამარცხებით ხასიათის გამოკეთებას გეგმავდნენ. ბრძოლაც საკმაოდ დაძაბული და უშეღავათო გამოვიდა, რომლის ბედიც ბოლო წუთზე გადაწყდა.

ორივე გუნდს უყვარს სწრაფი თამაში და მათ არც ამ მატჩში უღალატიათ ჩვეულებისთვის. მიეცემოდათ თუ არა შანსი, „აზოტიცა" და სტუ-ც უკანმოუხედავად უტევდნენ. სტუდენტებს ტრავმის გამო ცენტრი დავით მუშკუდიანი აკლდათ და ამიტომაც არ აწყობდათ ფარქვეშა, პოზიციური თამაში — კონტრშეტევებით გადიოდნენ ფინს. აქედან გამომდინარე, მოსალოდნელი იყო, რომ რუსთაველები იქით შეეცდებოდნენ სტუ-ს ფარის დაპყრობას და ამაში თავიანთ გამოცდილ ცენტრ ირაკლი ჯაფარიძეს დაიხმარებდნენ. თუმც „აზოტმა" თავიდან რატომღაც უარი თქვა ამ უპირატესობის გამოყენებაზე და თავადაც სწრაფი პირველი შეტევებზე განეწყო. ქვემოქართლელები სამქულიანებსაც არ ივიწყებდნენ და მიხეილ ბერუაშვილის სიზუსტის წყალობით პირველ მეოთხედში სოლიდურ უპირატესობასაც მიაღწიეს — 20:12.

რუსთაველებმა მცირე შესვენების შემდეგ ფარქვეშ ჯაფარიძე დაასაქმეს, რომელიც იოლად უმკლავდებოდა სტუდენტ გულივერ ახალკაცს და „აზოტმაც" მალე 10-ქულამდე გაზარდა უპირატესობა.

ცხადი იყო, სტუ-ს ყოჩაღი თუმც მთვლემარე უკანა ხაზი ადრე თუ გვიან გამოიღვიძებდა და ეს მეორე ტაიმის დასაწყისში მოხდა. პირველი ნახევარი სტუდენტებმა 7 ქულით წააგეს და თამაშის განახლებიდან უკვე ორ წუთში დაწინაურდნენ. ლაშა ლოსაბერიძემ და გიორგი გაგნიძემ სამქულიანები მიითვალეს, რასაც კოტე ტუღუშმა შედეგიანი გარღვევაც მიაყოლა და „სტუ-ჯეოსელი" პირველად გალიდერდა — 42:40.

თამაში გათანაბრდა, ლიდერი წამდაუწუმ იცვლებოდა და ყველაფერი იქით მიდიოდა, რომ გამარჯვებულს ბოლო წუთები თუ გაარკვევდა. შთაბეჭდილება შეიქმნა, რომ ეს გუნდებმაც უწყოდნენ და ერთმანეთს მორჩილად მიჰყვებოდნენ. მაგრამ ერთ ეპიზოდში სტუ აფეთქდა, გამარჯვებულის გამორკვევა მეოთხე მეოთხედის შუაწელში მოიწადინა და მიზანსაც მიაღწევდა, ქვემოქართლელთა გამოცდილი ლიდერი რამაზ გოგობერიშვილი რომ არ შეწინააღმდეგებოდა. 6 ქულით ჩამორჩენილმა სტუდენტებმა სამწუთიანი მონაკვეთი 11:0 მოიგეს და თამაშის დასრულებამდე 5 წუთით ადრე 5 ქულით დაწინაურდნენ. გოგობერიშვილმა საკუთარ თავზე აიღო თამაში, შეტევაში მას ცქვიტი არჩილ ელენტიც უბამდა მხარს და რუსთაველებმა კვლავ თანაბარ კალაპოტში ჩააყენეს მატჩი.

ამ კატათაგვობანაში ბოლო წუთმაც მოაწია და გადამწყვეტი მომენტიც დადგა. ქულით წინ მყოფი „აზოტი" უტევდა და თითქოს არაფერი ემუქრებოდა, მაგრამ უცაბედად მიხეილ ბერუაშვილს ლაშა ლოსაბერიძემ ჩაუჭრა და ახლა სტუ მიეძალა რუსთაველებს. ბერუაშვილი, ცხადია, სინდისმა შეაწუხა, ძალიან მოიწადინა და სასროლად შემართულ ლოსაბერიძეს დაუფარა ბურთი ქვემოქართლელებმა მოიხელთეს და მალე გოგობერიშვილი საჯარიმო ხაზზე დადგა. გამარჯვებულიც პრაქტიკულად აქ გაირკვა — „აზოტმა" რეპუტაცია გამოიკეთა.

**ირაკლი ბერტაია**

**სატურნირო ვითარება**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 24 | 21 | 3 | + 494 | 45 |
| სტუ | 23 | 18 | 5 | + 367 | 41 |
| ბასკო | 23 | 17 | 6 | + 537 | 40 |
| თსუ | 23 | 16 | 7 | + 146 | 39 |
| აზოტი | 22 | 13 | 9 | + 28 | 35 |
| მყაბი | 24 | 7 | 17 | - 460 | 31 |
| სსუ | 23 | 5 | 18 | - 439 | 28 |
| ქუთაისი | 23 | 4 | 19 | - 356 | 27 |
| აკადემია | 21 | 2 | 19 | - 317 | 23 |



ფოთის სპორტკომიტეტი და ქალაქის სპორტული საზოგადოება ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა საქართველოს XX საუკუნის საუკეთესო ნიჩბოსანი, მიუნხენის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი საბაიდარო ნიჩბოსნობაში, სპორტის დამსახურებული ოსტატი, ფოთის საპატიო მოქალაქე

**ვიქტორ კრატასიუკი**

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს

# უგრეხელიძე

## მოკლე ვიზა, მოკლე ვიზიტი და დიდი მოლოდინი



**დავით უგრეხელიძის** „სიენაში" ჩარიცხვა დროის ამბავია. ევროლიგაში მოთამაშე იტალიური კლუბი თანახმაა, საქართველოს ნაკრების ცენტრი შეიმტოს და საწადელს, სავარაუდოდ, ორიოდ კვირაში აისრულებს.

უგრეხელიძე გუშინწინ დაბრუნდა იტალიიდან, სადაც 3 კვირა ვარჯიშობდა „სიენასთან". რომ არა ხანმოკლე ვიზა, დავითი საქართველოში არც დაბრუნდებოდა. „სიენელებმა გადაწყვეტილება უკვე მიიღეს, ისინი თანახმანნი არიან, გუნდში ამიყვანონ. ფაქტობრივად უკვე სიენელი ვარ, ეგაა, კონტრაქტი არ გვაქვს გაფორმებული. ჩემი ვიზა სამკვირიანი იყო და იტალიაში ველარ გავჩერდებოდი. ხანგრძლივი, სამუშაო ვიზა რომ მქონოდა, კონტრაქტსაც გავაფორმებდი და საქართველოშიც აღარ მომიწევდა დაბრუნება. ახლა კი საელჩოზეა დამოკიდებული, როდის მივიღებ იტალიურ სამუშაო ვიზას. როგორც ამბობენ, ამ საქმეს ათიოდე დღე დასჭირდება, იტალიელებმა შესაბამისი დოკუმენტები უნდა გამოუგზავნონ აქაურ საკონსულოს, რომ გუნდში ამიყვანეს" — გვითხრა უგრეხელიძემ.

კონტრაქტის პირობები უკვე შეთანხმებულია. უგრეხელიძეს 3-წლიან ხელშეკრულებას გაუფორმებენ, უზრუნველყოფენ ბინითა და მანქანით. ოღონდ ეგაა, წლევანდელ სეზონში ვერ ითამაშებს. მოგეხსენებათ, იტალიაში არაევროკავშირელთა ოდენობა შეზღუდულია, „სიენას" კი ეს ლიმიტი უკვე ამოწურავს.

„სიენაში" ახლა 11 კალათბურთელია, მე-12 მე ვარ, მაგრამ იტალიურ კლუბს უკვე 4 არაევროკავშირელი ჰყავს და განაცხადშიც ველარ შემიყვანს. მიუხედავად ამისა, იტალიაში მაშინვე გავემგზავრები, როგორც კი ვიზას ავიღებ და „სიენას" ძირითად გუნდთან ერთად ვივარჯიშებ. ოფიციალურ მატჩებს ვერ ვითამაშებ, მომავალი სეზონიდან კი ძირითადშიც ჩავჯდები" — იმედიანადაა უგრეხელიძე.

ჩვენ შეგახსენებთ, რომ უგრეხელიძე რამდენიმე თვის წინ წამოვიდა ლიუბლიანური „ოლიმპიდან" და საბერძნეთს მიაშურა. მიზეზთა გამო იქ დავითმა ფეხი ვერ მოიკიდა და ახლა უკეთესი ვარიანტი გამოძებნა. „სიენა" იტალიური სერია A-ს ლიდერთაგანია, ხოლო ორი თამაშიდან ორი მოგებით ევროლიგის ერთ-ერთ ჯგუფს ლიდერობს.

**ირაკლი ბერტაია**

## NBA რეგულარული ჩემპიონატი

# ვერ მოგვართვით ონილებო!

## ჯერმენი ბოლომდე დაახრჩო, შაკილი ქულებით ვერ გაძღა

17 მარტი

**ინდიანა 88:95 პორტლენდი**

**ინდიანა:** ონილი (31 ქულა, 12 მოხსნა), არტესტი (16)

**პორტლენდი:** საბონისი (16), პატერსონი (15)

**კლიპერსი 85:102 ლეიკერსი**

**კლიპერსი:** მილერი (15)

**ლეიკერსი:** ონილი (42), ბრაიანტი (26)

**ფინიქსი 95:91 ტორონტო**

ძირითადი დრო 87:87

**ფინიქსი:** მარიონი (30 ქულა, 10 მოხსნა), მარბერი (25), ჰარდევეი (18)

**ტორონტო:** პეტერსონი (17), დევისი (16 ქულა, 15 მოხსნა)



არვიდას საბონისი 38 წლისაც ბევრ ჭეელს დაჰყურებს

„ინდიანა პეისერზს" ჰაერივით სჭირდებოდა 17 მარტს „პორტლენდის" დამარცხება, ინდიანელთა ლიდერ ჯერმენ ონილს კი წყალზე მეტად სწყუროდა. ბანალური ამბავია, ონილი „ინდიანაში" „პორტლენდიდან" გადავიდა და თან ძველი გუნდის ბოღმა გადაიყოლა. მგონი, სძულს კიდეც თუ მთლიანად გუნდი არა, კლუბის მმართველი აპარატი მაინც. დიდად ამბიციური და ცოტათი უზრდელი ონილი საკუთარ თავს ხომ არ დაადანაშაულებს იმაში, რომ თავისი კარიერის პირველ ოთხ სეზონს „პორტლენდის" სათადარიგოთა სკამს ხეხავდა.

„ინდიანაში" ონილმა რაღაცას მიაღწია. აქ იგი ვარსკვლავია, მის სიტყვას წონა აქვს, იგი „პეისერზის" ლიდერია. ჰოდა, გაუძლვა კიდეც ახალ გუნდს ძველის წინააღმდეგ. თავად ონილი დაჭრილი ლომივით იბრძოდა და 31 ქულა მოიპოვა, მაგრამ საბოლოოდ მთელი შრომა წყალში გადაეყარა. 24 წლის სისხლსავსე ჭაბუკი დაამარცხა 38 წლის ბებერმა პორტლენდელმა არვიდას საბონისმა.

საბონისზე ახალს ვერაფერს ვიტყვით. ეს უნიჭიერესი ლიტველი ბევრმა ჯერ კიდევ 10 წლის წინ ჩამოწერა, საბასი კი აგერ, მეშვიდე სეზონს თამაშობს ნბა-ში. მართალია, ფრთების ფართოდ გაშლაში ჭანჭიკებით, მეტალებითა და ნეილონით აწყობილ ფეხთან ერთად ასაკიც უშლის ხელს, მაგრამ საბონისი მაინც გამოჩნდება ხოლმე მოედანზე, რათა ხალხს თავისი არსებობა შეახსენოს და კალათბურთის ჭეშმარიტ გულშემატკივრებს სინანული გაუღვივოს, ეს რა ბიჭი გაფუჭდაო.

ჩვეულებრივ საბონისი ოთხი თამაში ისვენებს, რათა მეხუთეში გადაბმულად 15 წუთით მოედანზე ყოფნა შეძლოს. ახლაც „ინდიანასთან" პირველი სამი მეოთხედის განმავლობაში ის ჩრდილში იდგა, ხანდახან მიიღებდა ბურთს ფარქვეშ, თამაშის მეტი წილი კი სათადარიგოებში იჯდა. „პორტლენდს" ბოლო მეოთხედში დასჭირდა ლიტველი გიგანტის დახმარება, როცა ჯერმენ ონილმა სტუმრები მაგრად შეავიწროვა და 17-ქულიანი უპირატესობა დაათმობინა. არვიდასიც მშველელად მოევლინა თავისიანებს და ამ მეოთხედში 12 ქულა გაჩარხა. სულ მას იმ თამაშში 16 ქულა მოუგროვდა, ყველაზე მეტი ამ სეზონში. საბონისმა ერთ ეპიზოდში დაუფარა კიდეც სხარტ ონილს... ერთი სიტყვით, მან ის თამაში სტუმრებს 95:88 მოაგებინა. მატჩის მერე კი ესლა თქვა, კარგი საღამო იყოო და გასახდელში შეყო თავი.

საბონისის დარ კალათბურთელს ბარე ბევრი გუნდი ინატრებდა, თუნდაც „ტორონტო რეპტორზი", რომელმაც იმ საღამოს ფინიქსში იქაურ „სანზს" სასწაული მატჩი დაუთმო — „ტორონტო" 14 ქულით იგებდა და მაინც მოახერხა წაგება. მართალია, კანადურ გუნდს ჰყავს მფრინავი ვინს კარტერი, მაგრამ ამას ტრავმის მორჩენის შემდეგ სრული ძალით გაქანება უჭირს, მისი გუნდი კი იძირება და იძირება.

დღის მესამე შეხვედრაზე სათქმელი ბევრიც არაფერია. ლოსანჯელესურ დერბიში, საზიარო დარბაზ „სტეიპლზ სენთერში" „ლეიკერსმა" მუსრი გაავლო „კლიპერსს". „კლიპერსის" მთავარი დამქცევარი შაკილ ონილია, რომელმაც იმ საღამოს 42 ქულა მოიხვეჭა. ურიგო შედეგი არაა, თუნდაც ისეთი ქულების მკეთებელი მანქანისთვის, როგორიც შაკია, მაგრამ ლეიკერსელი დევი მაინც უკმაყოფილო ჩანდა. თურმე მას მინიმუმ 53 ქულის დაგროვება სურდა, რაკი სწორედ ამდენი აკლდა, ზოგადსაკარიერო მონაგარი 20 000 ქულამდე რომ დაემრგვალებინა. ახლა ეს „საშური" საქმე მომავალი მატჩისთვის გადაიდო.

**ირაკლი ფირაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ევროპის ერთა თასი 2003. მეოთხე ტური

## ჩეხეთი — საქართველო

22 მარტი. პრაღა «ტატრა»

# ბორჯღალოსნები პრაღაში ნახევარრუსებს შეხვდებიან

*ეს ორი დღეა, საქართველოს ნაკრები მონპელიეს მახლობლად, დაბა ლატიში შეკრებაზეა. ბორჯღალოსნები 22 მარტს ჩეხებთან გასამართი მატჩისთვის ჩვეულებისამებრ, სამხრეთ საფრანგეთში ემზადებიან. ლატიში ჩვენები პარასკევამდე დარჩებიან, მერე კი ჩეხებთან შეჯახების ადგილზე, პრაღაში ჩაფრინდებიან. გუშინწინ და გუშინ ბორჯღალოსნებმა მსუბუქად ივარჯიშეს, დღეიდან კი ნაკრების მწვრთნელი კლოდ სორელი შეგირდებს ორჯერად ვარჯიშებზე გადაიყვანს. იმის გასარკვევად, თუ როგორ ემზადება ჩვენი ნაკრები, გუშინ ბორჯღალოსანთა მთავარ ბომბარდირ პალიკო ჯიმშელაძეს დავუკავშირდით*

— ლატი და მისი სპორტული ბაზა ჩვენთვის საკუთარი სახლივით იქცა. აქ თავს შინაურულად ვგრძნობთ. პირობები და ამინდი მშვენიერია, ასე რომ, საწუწუნო არაფერი გვაქვს — გვითხრა გუშინ ჯიმშელაძემ.

**— დღის რეჟიმი როგორი გაქვთ?**

— დღეს და გუშინ მსუბუქად დავიტვირთეთ, დილით ბაზასთან ახლოს მდებარე პარკში ვირბინეთ, ნაშუადღევს აქცენტი ფიზიკურ მომზადებაზე გადავიტანეთ და შტანგაზე ვივარჯიშეთ, საღამოს კი ძალიან მსუბუქი წვრთნა გვქონდა. უკანახაზელებმა რამდენიმე კომბინაცია დავამუშავეთ, მოჯინალეებმა კი აუტებში ივარჯიშეს. გუშინ საღამოს ჩეხეთის ორი მატჩის ვიდეოფირი ვნახეთ, ერთი შარშან რუსებთან მსოფლიოს თასის შესარჩევი ტურნირისა იყო, მეორე ხორვატიასთან გამართული შეხვედრის.

**— როგორ შთაბეჭდილება დატოვა ჩეხეთის ნაკრებმა?**

— თამაშის სტილით ძალიან ჩამოჰგვანან რუსებს, ოღონდ კლასში აშკარად ჩამოუვარდებიან. ცალ-ცალკე რომ ავიღოთ, ურიგო მორაგბეები არ ჰყავთ, მაგრამ გუნდურ თამაშში მოიკოჭლებენ. ძირითადად ინდივიდუალისტების ხარჯზე გადიან ფონს. ასეთები კი არიან გარემარბი იაგრი და მოჯინალი მახაჩეკი. ოღონდ არც ჩვენს მოჯინალეებს და არც უკანახაზელებს მათი შეჩერება არ უნდა გაუჭირდეთ.

**— ესე იგი ჩეხები დიდ პრობლემებს ვერ შეგიქმნიან.**

— მთლად უშანსოდ არ არიან, მაგრამ არ დაგიმალავთ, და ჩეხეთი ჩვენი ძალის გუნდი ვერაა. უფრო პირველი ტაიმის გუნდია, ფიზიკურად სუსტადაა მომზადებული. თანაც აშკარად ეტყობა, რომ გამოუცდელი ნაკრებია.

**— შანსებს როგორ აფასებ?**

— ოთხმოცი-ოცზე ჩვენს სასარგებლოდ. რა თქმა უნდა, თუ ისეთი უხეში და უპატიებელი შეცდომები არ დავუშვით, როგორებიც პორტუგალიასთან წაგებულ მატჩში.

**— ჩვენებიდან ვინმეს ტრავმა ხომ არ აწუხებს?**

— მიკრო-ტრავმები ბევრს აწუხებს, მეც კოჭს ვიტკივებ, მაგრამ სერიოზული არაფერია. წუთი წუთზე ველოდებით ლევან ცაბაძეს. „ლეონსიო" ალბათ ითამაშებს. ყოველ შემთხვევაში, საფრანგეთის ჩემპიონატის ბოლო ტურში ითამაშა და საზარდულს არ შეუწუხებია. ჩეხებთან ძირითადში იქნება თუ არა, ეს სორელის გადასაწყვეტია. დილით შემოგვიერთდა ბესიკ ხამაშურიძე, რომელმაც მოტეხილი თითი ბოლომდე მოირჩინა და სათამაშოდ მზად არის. ასე რომ, შეკრებაზე ვინც ვართ, ყველანი სრული დატვირთვით ვვარჯიშობთ და სერიოზულად ვემზადებით.



პალიკო ჯიმშელაძე ჩეხების კარშიც დაარტყამს

**ბაჩო სვანიძე**

ჩოგბურთი



უეინ ფერეირა ენას ჩოგანზე ცუდად აჭნევს

# ჯანყი რაღაცის გამო

## ჩოგბურთელები: დაგვასვენეთ! ბიძიები: მოისვენეთ!

*გასულ უქმეებზე შვეიცარიულ ლოზანას ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციისა (ITF) და სლემტურნირთა გავლენიანი მახვშები სტუმრობდნენ. მახვშთა შეხვედრის მიზანი საჩოგნეთში დაგროვილ პრობლემებსა და მოთამაშეთა მიერ ბოლოს დროს გამოთქმულ პრეტენზიათა თაობაზე წათათბირება გახლდათ. თათბირი ნაყოფიერი გამოდგა და მისი დანასკვი მილეთს ამ დღეებში გავრცელებული განცხადების სახით ეუწყა*

განცხადებაში სწერია, რომ მახვშები შეიკრიბნენ, „რათა დასტურ ემსჯელათ იმ აუცილებელ ცვლილებებზე, რომელთა მიღებაც საჩოგბურთო მეურნეობის გასაჯანსაღებლად და განსავითარებლად არის საჭირო."

ერთ-ერთი ასეთი ცვლილება კალენდრის იმგვარად შეკუმშვას ჰგულისხმობს, რომ მოთამაშეებსაც და მათ ქომაგებსაც უფრო მეტი დასვენების საშუალება მიეცეთ.

მახვშები მზად არიან, შეიმუშავონ უფრო „ადამიანური" კალენდარი, ისეთი, „რომელიც სეზონებს შორის, სულ მცირე, ორთვიან პაუზას მაინც გაითვალისწინებს."

ამჟამინდელი განრიგის მიხედვით დევისფინალს, რაიც სეზონის უკანასკნელი მოვლენაა, მომდევნო სეზონის პირველი ტურნირისაგან მხოლოდ ოთხი კვირა აშორებს. ამის გამო ზეპური მეჩოგნეები ხეირიანად დასვენებასაც ვერ ასწრებენ, ისევ კორტებს რომ უბრუნდებიან. შედეგად — ბევრ მათგანს ჩოგნაობა საშინლად ჰბეზრდება და არცთუ ქომაგი რჩება ნაამები უხალისოდ მობურთავე მოთამაშეების ცქერით.

„ყველა სხვა სპორტთან შედარებით ჩვენ ყველაზე ცოტას ვისვენებთ — ამბობდა ამას წინათ მარატ საფინი — სხვაგან სპორტსმენებს საკმარისი დრო აქვთ მოსათენთად, ოჯახთან ერთად დასასვენებლად, მომავალი სეზონისთვის მოსამზადებლად... ჩვენ კი — არაფერი. წლეულს მხოლოდ ორი კვირა მერგო, და რა არის ორი კვირა იმ ერთწლიანი მომთაბარეობის მერე, რასაც საჩოგბურთო სეზონი ჰქვია?!"

სხვაფრივ — მახვშები ფიქრობენ, რომ კაცთა და ქალთა სეზონდამაგვირგვინებელი ტურნირები ერთდროულად და ერთსა და იმავე ალაგას უნდა გაიმართოს. ისინი თვლიან, რომ ამგვარი „შეწყვილება" გამორჩევით წაადგება მდედრიონს, რომლის შარშანდელ ფინალურ შეჯიბრსაც — ლოსანჯელესურმა „სტეიპლზ სენტერმა" რომ უმასპინძლა — შემაშფოთებლად ცოტა მოსეირე დაესწრო.

ეს მაშინ — როცა კაცთა ანალოგიურმა, შანხაურმა ტურნირმა მაყურებელთა არნახული ინტერესი გამოიწვია...

მახვშთა მიერ გავრცელებულ განცხადებაში ასევე ნათქვამია, რომ ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაცია გამორჩეულ ყურადღებას დაუთმობს „დევისთასს, ფედერაციის თასსა და ოლიმპიურ ჩოგბურთს", რომ მახვშები „განიხილავენ კალენდარში წლის პირველი სლემტურნირის — ავსტრალიის ღია პირველობის დროგადანაცვლებისა და მისი უფრო შესაფერის მონაკვეთში დაბინავების საკითხს" და რომ „ისინი ეწინააღმდეგებიან ATP-ისა და WTA-ის მცდელობას, გაზარდონ კომბინირებული ანუ კაცთა და ქალთა პარალელურად მიმდინარე ტურნირების რაოდენობა."

ეს უკანასკნელი პუნქტი, ცხადია, არ ვრცელდება კაცთა და ქალთა ზემოთ ნახსენებ სეზონდამაგვირგვინებელი ტურნირებზე, რომელთა ორგანიზებაშიც ჩოგბურთისთვის მორუდუნე ყველა ორგანიზაციამ უნდა იმონაწილეოს.

ITF-სა და სლემტურნირთა კომიტეტის ამ განცხადებას უმალვე შეეხმიანნენ ATP-ის მთავარაღმასრულებელი მარკ მაილზი და WTA-ის მთავარაღმასრულებელი კევინ ვულფი.

მათ ერთობლივ განცხადებაში ვკითხულობთ:

„რასაკვირველია, ჩვენ ვეთანხმებით პატივცემულ კოლეგათა იმ მოსაზრებებს, საჩოგბურთო საქმეთა მართვის სრულყოფასა და პროფესიონალ მეჩოგნეთა ანაზღაურების ზრდას რომ შეეხება. მაგრამ ჩვენ არასაკმარისად მიგვაჩნია ის თანხები, რომელთა გამოყოფასაც ITF და სლემტურნირები საამიზნებოდ გეგმავენ."

შეგახსენებთ, რომ სწორედ არასაკმარისი ანაზღაურება იქცა კაცმეჩოგნეთა ბოლოდროინდელი დრტვინვის მიზეზი, დრტვინვისა, რომელმაც სამხრეთ აფრიკელი უეინ ფერეირასა და ბელგიელი ლორან ტილემანის მეცადინეობით უკვე ორგანიზებული ჯანყის სახეც მიიღო.

მოჯანყენი თვლიან, რომ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებათა მიღებისას ეიტიპელი მახვშები მათ შეხედულებებს სათანადოდ არ ითვალისწინებენ და რომ მათ ხელი არ მიუწვდებათ საჩოგბურთო ფინანსთა განკარგვაზე.

თავიანთი ინტერესების დასაცავად განმდგარი მეჩოგნენი ახალი — კაცთა საერთაშორისო საჩოგბურთო ასოციაციის (IMTA) დაარსებას გეგმავენ. ეს ასოციაცია ამ კვირაში, მაიამიში უნდა დაარსდეს, სადაც ახლა ყველა სახელიან-უსახელო მოთამაშეა თავმოყრილი, რათა „მეხუთე სლემტურნირად" წოდებულ სარბიელზე ჩოგნაობის პარალელურად კაცთა საგანგებო ყრილობაშიც გაერიოს.

ზეპური მეჩოგნეებიდან ფერეირასა და კომპანიას ჯერ-ჯერობით მხოლოდ ამქრის პირველმეჩოგნე, ავსტრალიელი ლეიტონ ჰიუიტი მიემხრო.

# ვინ დახურავს მაიამის ღიას?



ანდრე აგასი

**მაიამურ ტურნირს,** რომელსაც NASDAQ-100 OPEN ეწოდება, მსუყე-მსუყე საპრიზო ფონდებისა და მონაწილეთა სიმრავლის გამო „მეხუთე სლემტურნირადაც" მოიხსენიებენ. წლეულს იქ ჩასული 96 კაცმეჩოგნე 3,25 მილიონი დოლარისთვის იომებს, ხოლო 128 მდედრისთვის 2,96 მილიონი დათქმულა.

კაცთა შარშანდელი ჩემპიონი ანდრე აგასია — ეგებ გახსოვთ, ფინალში მან შვეიცარიელ როჯერ ფედერერს აჯობა 6:3, 6:3, 3:6, 6:4. ხოლო ქალთაგან პირველობა არავის დაუთმო ახტაჯანა სერენა უილიამსმა, ვინაც ფინალში ჯენიფერ კაპრიატი მოაშთო 7:5, 7:6 (7:4).

რვაგზის მესლემტიტულე ამერიკელი და ზედიზედ ოთხგზის სლემტურნირის მომგები ბაყბაყსერენა, ცხადია, თავიანთი ტიტულების დაცვას შეეცდებიან.

აგასის უმთავრეს რაყიფად უჯობარდეს ფორმაში მყოფი ლეიტონ ჰიუიტი, წინა ორი კვირის განმავლობაში სკოტსდეილსა და ინდიან უელსში ნაჯირალი ოზბიჭი უნდა ვიგულვოთ. თუკი ყველაფერი მათთვის უსიურპრიზებოდ წარიმართება — 33 წლის ანდრეს წინა კვირებში ატკივებული მხარი არ შეაწუხებს, ხოლო 22 წლის ლეიტონს უეცრად არ დატოვებს მისი ცეცხლი და ქარიზმა — მაშინ 30 მარტს სწორედ მათი ფინალური გაწდაგანის ცქერით დავტკბებით.

სერენა უილიამსს კი ყველაზე მეტად „დაჟანგულობის" უნდა ეშინოდეს — რაკიღა წლეულს მხოლოდ 11 შეხვედრის მოთამაშესა და ავსტრალიის ღია პირველობის კვალად პარიზში გალაღებულს, თვეზე მეტია, ჩოგანი არ გაუნძრევია.

უმცროსი შავდა ამბობს, რომ ამ ბოლო დროს გალიზიანებული მარცხენა მუხლი ახლა რიგზეა და ბარაქიანი ჩოგნაობის მას ხელს ვერაფერი შეუშლის.

უკანასკნელ წლებში დამკვიდრებული ტრადიციისამებრ, სერენას უმთავრესი მეტოქე მისი უფროსი დაიკო ვინუსი იქნება, რომელსაც — ასევე თუ რამე ფორსმაჟორული ამბავი არ მოხდა — ფინალში შეეყრება. შავდათა ჰეგემონიის დამხობას ისევ ეცდება ფუმფულა ბელგიელი კიმ კლაისტერსი, ვინაც ინდიან უელსში ბრწყინვალედ გაირჯა და კარიერის მე-12 ტიტულიც მოიმკა, მაგრამ შავდათა შესამუსრ გამბედაობას მოიძევს თუ არა, ეგ ჯერაც გაურკვეველია.

ვინძლო, ლეიტონმა გაურკვიოს.

**ლევან ძელაურაძე**



სერენა უილიამსი

# ბერგერი და ფოლქსვაგენი ერთმანეთს გზაში შეხვდებიან

*ათი დღის წინ დაწყებულ ფორმულა 1-ის მსოფლიოს ჩემპიონატს ერთ-ერთი წამყვანი პიროვნება მოაკლდა. მრბოლზე არაა ლაპარაკი. ეს გახლავთ სერ-ფრენკ უილიამსის გუნდის ძრავებით მომმარაგებელ კონცერნ* **BMW**-*ს სპორტული თანადირექტორი, 43 წლის გერჰარდ ბერგერი*

ერთ-ერთ ყველაზე სიმპათიურ მეფორმულეს ჯეელობაში ძლიერი პილოტის სახელიც ჰქონდა. ავსტრიელი მძღოლი 14 წელი დაქროდა „სამეფო რბოლების“ ტრასებზე და მართალია, უმაღლეს ტიტულს ერთხელაც ვერ შესწვდა, მაგრამ სამჯერ (1988, 1990, 1994) საერთო ჩათვლაში მესამე ადგილზე გავიდა და ათი დიდი პრიზიც დაისაკუთრა. თანაც ამ ხნის მანძილზე 210 რბოლაში მიიღო მონაწილეობა, რაც იტალიელ რიკარდო პატრეზეს ფენომენური, ლამის სამუდამო რეკორდის (256) შემდეგ ფორმულის ისტორიაში მეორე მაჩვენებელია.

37 წლის ასაკში სამრბოლო კარიერის დასრულების შემდეგ ბერგერი უსაქმოდ დიდხანს არ დარჩენილა, ჭკვიან და გამოცდილ „პენსიონერს“ ბავარიელმა მეძრავეებმა „BMW-მოტორსპორტის“ ბოსობა შესთავაზეს, რაკი ავტოელიტაში ხმაურით დაბრუნებას აპირებდნენ. გერჰარდსაც ბევრი არ უყოყმანია, მით უმეტეს, რომ ენით მონათესავეებთან სასიამოვნო მოგონებებიც აკავშირებდა — გერმანელებს „წინა ცხოვრებაში“ ბოლო გამარჯვება 1986 წელს მექსიკაში ხომ სწორედ მან მოაპოვებინა.

ბავარიელების მეორედ მოსვლა 2000 წელს შედგა. მართალია, „BMW-უილიამსმა“ განვლილი სამი სეზონის 51 რბოლიდან არც ისე ბევრი, მხოლოდ ხუთი მოიგო, მაგრამ თავის უპირველეს მიზანს მაინც მიაღწია — ოთხწლიანი ხელმოცარვის შემდეგ როგორც იქნა, აჯობა კონსტრუქტორთა თასზე მოსისხლე მტერ „მაკლარენს“ და უკონკურენტო ტრიუმფატორ „ფერარის“ შემდეგ ვიცე-ჩემპიონობას ეღირსა.

ბერგერის კონტრაქტი წლეულს შემოდგომაზე იწურებოდა და მოხეტიალე ცხოვრებით გადაღლილი შეფ-პილოტი თანამშრომლობის გაგრძელებას არც აპირებდა: „მადლობელი ვარ კომპანიის, რომ ნდობა გამომიცხადა და ჩემი ორგანიზატორული შესაძლებლობების რეალიზებისთვის მშვენიერი პირობები შემიქმნა, მაგრამ ეს მეტად შრომატევადი სამუშაოა, რასაც ოცი წელია, ვეწევი, დავიღალე და უბრალოდ, მეტი დრო მინდა დავუთმო პირად ცხოვრებას. მით უმეტეს, რომ ჩვენი უმთავრესი პრობლემა დავძლიეთ და ძლიერი გუნდი შევქმენით.“

ეს იყო ორიოდე კვირის წინ ნათქვამი და მაშინ ვითარებაც ნორმალური ჩანდა, მაგრამ მოულოდნელად ყველაფერი შეიცვალა და ბერგერმა გადადგომა დააჩქარა, თუმც მიზეზი ბოლომდე არ გაუმხელია: „მე და ფრენკს ახლაც გვაქვს კონსულტაციები სხვადასხვა საკითხზე და ჩვენი ურთიერთობა შემდგომშიც გაგრძელდება, მაგრამ ამას ყოველდღიური თანამშრომლობის სახე აღარ ექნება.“

ცხადია, მაშინვე გაჩნდა ეჭვი, რომ დირექტორის ასეთი უცაბედი წასვლა მხოლოდ გადაღლით არ იყო გამოწვეული. ხმა გავრცელდა, ავსტრიელ სპეციალისტთან თანამშრომლობით მეორე გერმანული ავტოვეშაპი „ფოლკსვაგენია“ დაინტერესებული იმავე ფორმულა 1-ში ძალის გამოცდის იმედით. ბერგერი ამის თაობაზე ორჭოფულად აცხადებს, არ გამოვრიცხავ ფორმულაში დაბრუნებას, თუმც „ფოლკსვაგენისგან“ სერიოზული წინადადება არ მიმიღიაო.

**გია ახალაძე**



ფრენკ უილიამსი და გერჰარდ ბერგერი ურთიერთობის გაწყვეტას არ აპირებენ



*შაბათს მონტე-კარლოში დაიწყო ერთობ საინტერესო საჭადრაკო ტურნირი, რომელიც ფართო მასებისთვის „ამბერის“ სახელითაა ცნობილი. წლევანდელი ტურნირი რიგით მეთორმეტეა და მასში მსოფლიოს წამყვანი დიდოსტატები მონაწილეობენ. ტურნირი ერთობ უცნაურია, მოჭადრაკეები ერთმანეთს ორ-ორ პარტიას ეთამაშებიან, პირველს ახვეული თვალებით, მეორეს კი სწრაფს. შემდეგ ორივე შედეგი ჯამდება და საბოლოო გამარჯვებულიც აქედან ვლინდება. ტურნირი 27 მარტამდე გასტანს და მისი საპრიზო ფონდი 190 ათასი დოლარია*

# ვიხუჭებით და მოვდივარ

## კრამნიკს სწრაფი აზროვნება უჭირს

„ამბელზე“ ორშაბათს მესამე ტური მიილია და 4,5 ქულით საერთო ჩათვლის ცხრილში წინ გაიჭრა ლინარესის სუპერტურნირის ახლახან მომგები პიტერ ლეკო. უნგრელი დიდოსტატი ბრმა (თვალებახვეულ) ჭადრაკში 2,5 ქულით მეორეა, ბლიცში კი 2,0 ქულით მესამე.

როგორც ჩანს, სწრაფ აზროვნებასთან სერიოზული პრობლემები გასჩენია რუს დიდოსტატ ვლადიმერ კრამნიკს — იგი ერთი ქულით ბოლო ადგილზეა. სამაგიეროდ, კრამნიკი ჭადრაკს შესანიშნავად თამაშობს თვალებახვეული, სადაც ქულათა მაქსიმალური მარაგით ერთპიროვნული ლიდერია.

საერთო ჩათვლაში კრამნიკი 4 ქულით მეორე ადგილზეა.

სწრაფ მოჭადრაკეთა ცალკე ცხრილის თავში ასევე რუსი ევგენი ბარეევი ზის, რომელმაც პირველობა მესამე ტურში ბულგარელ ტოპალოვთან გამარჯვების შემდეგ მოიპოვა. თუმც უნდა ითქვას, რომ ბარეევის ლიდერობა ინდოელ დიდოსტატ ვიშვანათან ანანდის დამსახურებაცაა, რომელმაც ყოფილი ლიდერი მოროზევიჩი დაამარცხა და პირველობა დააკარგვინა.



ვლადიმირ კრამნიკი

ვეიკ-ან-ზეეს სუპერტურნირის გამარჯვებული ანანდი საერთო ჩათვლაში გელფანდთან, ბარეევთან და ივანჩუკთან ერთად მესამე-მეექვსე ადგილებს იყოფს.

შემაჯამებელი ცხრილის ბოლო ადგილზე ესპანელი დიდოსტატი ალექსეი შიროვია გაწოლილი, რომელსაც ბრმა ჭადრაკში ქულაც არ მოუპოვებია.

**ლუკა გეგეჭკორი**



რეგულარული ჩემპიონატი

# USA, USA

## ამერიკაში უყურებენ ჰოკეის და ქომაგობენ პრეზიდენტს

17 მარტი

**ტამპა 3:3 მინესოტა** *1:1 2:1 0:1 0:0*

**1:0 ტეილორი (1), 1:1 ჯონსონი (13), 2:1 ფედოტენკო (32), 3:1 სან ლუი (38), 3:2 გაბორიკი (39), 3:3 ბრიუნეტი (56)**

მიუხედავად იმისა, რომ მოგება ხელიდან გაუშვა, ტამპა მაინც პირველ ადგილზე ალზევდა, რაც პირველი შემთხვევაა კლუბის არსებობაში.

**ნიუ ჯერსი 2:4 ფილადელფია** *0:2 1:2 1:0*

**0:1 კაპანენი (4), 0:2 დესჯარდენი (16), 1:2 მაკენზი (23), 1:3 ამონტე (25), 1:4 უეინრიჩი (31), 2:4 ელიაში (43)**

უცნაურია, მაგრამ „ეირლაინ არენას“ 18-ათასიანი დარბაზი ყველაზე მეტად მეორე და მესამე პერიოდებს შორის შესვენებაზე აგუგუნდა. ამ დროს შუქფარზე ჯორჯ ბუშის გამოსვლის ნაწყვეტი აჩვენეს. როდესაც აშშ-ს პრეზიდენტმა თავისი მიმართვის ბოლოს განაცხადა, ჰუსეინმა და მისმა ვაჟიშვილებმა ერაყი 48 საათში უნდა დატოვონო, იქ დამსწრე საზოგადოებამ „U-S-A, U-S-A“-ს შეძახილებით შეაზანზარა შენობა.

თვით თამაში კი მასპინძლებისთვის და მათი ქომაგებისთვის არცთუ სასიამოვნო გამოდგა. ტონი ამონტეს შეძენისა და ჯონ ლეკლერის დაბრუნების შემდეგ ფილადელფია ბულდოზერს დაემსგავსა, რომლის შეჩერებაც შეუძლებელი ჩანს.

**ატლანტა 3:2 კოლუმბუსი** *1:0 1:2 1:0*

**1:0 კოვალჩუკი (13), 1:1 პირიეტია (31), 2:1 ჰარტიგანი (31), 2:2 სენდერსონი (35), 3:2 ჰიტლი (60)**

**ნეშვილი 3:5 ედმონტონი** *0:2 2:0 1:3*

**0:1 კომრი (2), 0:2 ფერგიუსონი (17), 1:2 ორზაგი (26), 2:2 არხიპოვი (35), 2:3 ჰემსკი (43), 3:3 არხიპოვი (46), 3:4 ჩიმერა (56), 3:5 რიზონერი (60)**

მარტი რიზონერიმ როგორც კი ცარიელ კარში გაიტანა, დასავლეთ კონფერენციაში საპლეიოფო ბრძოლამ ყოველგვარი ინტრიგა დაკარგა. მართალია, ჩემპიონატის დასრულებამდე 10-11 თამაში კიდევ დარჩა, მაგრამ ძნელი დასაჯერებელია, რომ „მენავთობეები“ 8-ქულიან უპირატესობას გაფლანგავენ და მთავარ მდევარ ნეშვილს კიდევ ერთ შანსს უბოძებენ.

**დალასი 2:4 ვანკუვერი** *1:0 0:2 1:2*

**1:0 იანგი (10), 1:1 ბერტუცი (29), 1:2 ბერტუცი(39), 1:3 კავანა (43), 1:4 ბერტუცი (47), 2:4 ბუში (53)**

ტოდ ბერტუცი ლიგის ელიტაში მკვიდრდება. ვანკუვერის ფორვარდი სეზონში პირველი ჰეთ თრიქის შემდეგ 42 გოლით თავის თანაკლუბელ მარკუს ნესლუნდს გაუტოლდა და 86 ქულით პირადი რეკორდიც დაამყარა. ეს მიღწევა მით უფრო მნიშვნელოვანია, რომ ფორვარდმა სამივე შაიბა მირითადად საკუთარი ძალისხმევით შეაგდო.

**სან ხოსე 2:3 ჩიკაგო** *0:2 1:0 1:0 0:1*

**0:1 საიმონი (2), 0:2 ბელი (8), 1:1 შტურმი (26), 2:2 პრიმო (52), 2:3 ფლერი (62)**

თურმე ტეო ფლერისაც ძალუძს, ჩიკაგო ასარგებლოს. ამას წინათ გასაყიდად წარდგენილი ფორვარდის მსურველი რომ არ გამოჩნდა, „ქორებმა“ ალკოჰოლს გადაყოლილი მოთამაშე ისევ შეიკედლეს და ფლერიმაც მადლობა გოლით გადაუხადათ.

**რეინჯერსი 1:0 აილენდერსი** *0:0 0:0 1:0*

**1:0 ლიჩი (52)**

„აილენდერსთან“ პირად შეხვედრებში უპირატესობა — აი, ერთადერთი დადებითი რამ, რაც „რეინჯერსს“ ამ სეზონისგან შერჩა. „მოსისხლე მტრების“ მინიჩემპიონატში ბოლო დერბიმ „უფროს ძმას“, „რეინჯერსს“ მოუტანა წარმატება, მაგრამ ეს ორი ქულაც ვერ დაეხმარება გუნდს საპლეიოფო საგზურის მოპოვებაში. მათთვის ყველაზე საწყენი კი ის არის, რომ ეს საგზური უკვე „აილენდერსისაა“.

**აღმოსავლეთის კონფერენცია**

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| *ოტავა* | *73* | *45* | *7* | *1* | *20* | *231:165* | *98* |
| *ნიუ ჯერსი* | *70* | *40* | *6* | *5* | *19* | *186:148* | *91* |
| ტამპა | 72 | 33 | 11 | 5 | 23 | 196:188 | 82 |
| *ფილადელფია* | *70* | *37* | *11* | *4* | *18* | *168:146* | *89* |
| ტორონტო | 72 | 39 | 5 | 2 | 26 | 207:182 | 85 |
| ვაშინგტონი | 73 | 34 | 8 | 5 | 26 | 198:191 | 81 |
| ბოსტონი | 72 | 33 | 8 | 4 | 27 | 219:211 | 78 |
| აილენდერსი | 71 | 32 | 9 | 2 | 28 | 194:196 | 75 |
| მონრეალი | 73 | 27 | 8 | 8 | 30 | 183:207 | 70 |
| რეინჯერსი | 73 | 28 | 9 | 3 | 33 | 190:213 | 68 |
| ფლორიდა | 73 | 23 | 12 | 9 | 29 | 164:212 | 67 |
| პიტსბურგი | 73 | 25 | 5 | 5 | 38 | 174:225 | 60 |
| კაროლინა | 73 | 22 | 10 | 6 | 35 | 154:205 | 60 |
| ატლანტა | 70 | 24 | 6 | 4 | 36 | 188:249 | 58 |
| ბუფალო | 71 | 21 | 9 | 7 | 34 | 159:189 | 58 |

**დასავლეთის კონფერენცია**

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| *დეტროიტი* | *72* | *42* | *9* | *3* | *18* | *234:180* | *96* |
| *დალასი* | *72* | *39* | *15* | *2* | *16* | *217:148* | *95* |
| *ვანკუვერი* | *72* | *40* | *12* | *1* | *19* | *226:183* | *93* |
| სენტ ლუისი | 71 | 37 | 9 | 6 | 19 | 223:184 | 89 |
| კოლორადო | 72 | 35 | 12 | 7 | 18 | 212:175 | 89 |
| ანაჰაიმი | 74 | 35 | 9 | 4 | 26 | 180:177 | 83 |
| მინესოტა | 71 | 36 | 9 | 1 | 25 | 173:156 | 82 |
| ედმონტონი | 72 | 31 | 8 | 8 | 25 | 195:200 | 78 |
| ნეშვილი | 71 | 27 | 11 | 5 | 28 | 169:174 | 70 |
| ლოს ანჯელესი | 72 | 30 | 5 | 4 | 33 | 182:192 | 69 |
| ფინიქსი | 71 | 28 | 9 | 4 | 30 | 183:195 | 69 |
| ჩიკაგო | 71 | 26 | 10 | 5 | 30 | 174:184 | 67 |
| სან ხოსე | 71 | 26 | 6 | 6 | 33 | 191:210 | 64 |
| კალგარი | 72 | 24 | 11 | 4 | 33 | 164:208 | 63 |
| კოლუმბუსი | 71 | 25 | 7 | 3 | 36 | 186:227 | 60 |

შენიშვნა: დახრილი შრიფტით პლეი ოფში აღნიშნულია გასული გუნდები



დომინიკ ჰაშეკი



იარომირ იაგრი

# ჰაშეკი და იაგრი ჩეხურ ლეგენდაში

## ყვანჯით და ჩაფხუტით ოპერის სცენაზე

იარომირ იაგრისა და დომინიკ ჰაშეკის ნიჭი და ჩეხი ხალხის წინაშე დამსახურება სულ მალე კლასიკურ მუსიკაშიც იქნება დაფასებული და უკვდავყოფილი. ორშაბათს ჩეხეთის ეროვნულმა თეატრმა სენსაციური ცნობა გამოაქვეყნა. თეატრის დირექტორმა, ირჟი ნეკვასილმა განაცხადა, რომ უკვე დაწყებულია მუშაობა ოპერაზე, რომელიც ჩეხეთის ნაკრების მიერ 1998 წელს ნაგანოში მოპოვებულ ოლიმპიურ ოქროს მიეძღვნება და სიუჟეტიც ამ თემაზე იქნება აგებული. პრემიერა ერთი წლის შემდეგ 2004 წლის 8 აპრილს „ესტეიტ თეატრში“ შედგება.

„ეს ოპერა ჩეხეთის თანამედროვე ისტორიიდან აღმოცენებული ერთ-ერთი ლეგენდაა. ცხადია, ეს ფრიად არაორდინალური სიუჟეტია, მაგრამ ვცდებით, ჰოკეი მუსიკალურ ფორმებში ჩავაქსოვოთ“ — თქვა ნეკვასილმა.

მოგეხსენებათ, 1998 წელს ჩეხეთის გუნდმა, რომელშიც იაგრი და ჰაშეკი ბრწყინავდნენ, ყველასთვის მოულოდნელად ფავორიტები — კანადა და რუსეთი დაჩოქა და „თეთრი“ ოქრო პრაღაში ჩაიტანა, სადაც თავიანთ გმირებს ხალხმა ფანტასტიკური შეხვედრა მოუწყო.

და აი, ხუთი წლის შემდეგ ეს დიდი გამარჯვება კომპოზიტორების შთაგონებას ასაზრდოებს. დეტალები ჯერ უცნობია, თუმც ერთი რამ უკვე გაცხადდა, ჰაშეკის პარტიის შემსრულებელი სცენაზე ყვანჯით და, ამავ დროს, მეკარის ამუნაციაში გამოწყობილი გავა!

**სამველ ლარიბიანი**

ეროვნული ბიბლიოთეკა



REUTERS ბირმინგემიდან

# ჭერქვეშ

ბირმინგემში ჩათავდა მძლეოსანთა ჭერქვეშა მსოფლიო ჩემპიონატი და ფოტოგრაფებსაც საქმე მიეცათ. ასე იფიქრებ, სიმაღლეზე მხტომ შვედ კაისა ბერგკვისტს რაღა გადაარჩენსო, ის კი ამ ნახტომით ფინალში გავიდა. ბერძენი ნიკი ქსანტუ კი ეს წამია სიგრძეზე გადახტა და ახლა შედეგის ცხრილს შესცქერის.



REUTERS ბირმინგემიდან

# ბუშტი

წუთშესვენება მაიკლ ჯორდანს საღეჭის საბერავადაც გამოადგა. „მაიამის" წინააღმდეგ მატჩში დროის და მიზიდულობის კანონის წინააღმდეგ მავალმა მისმა უპაეროვნესობამ 14 ქულა ჩააგდო, „ვაშინგტონ ვიზარდსმა" კი მეტოქეს 89-82 მოუგო.


REUTERS ვაშინგტონიდან


REUTERS ნიციდან


REUTERS სორბურიდან

# ველომრბოლის დაკრძალვა


REUTERS სორბურიდან

შუა საფრანგეთის ქალაქ სორბურში მიწას მიაბარეს იქ მცხოვრები ყაზახი ველოსიპედისტი ანდრეი კივილიოვი. კივილიოვი პარიზი-ნიცას რბოლის მეორე დღეს შეჯახების მსხვერპლი შეიქნა. მის დაკრძალვას პატარა ქალაქში ფრანგული ველოსპორტის მამები დაესწრნენ: ველოფედერაციის ექს-პრეზიდენტი დანიელ ბალი (მარჯვნივ) ტურ დე ფრანსის დირექტორი ჟან ფრანსუა პეშო (მარცხნივ) და ტურის სპიკერი დანიელ მანჟე. გარდაცვლილის კუბო ველოსიპედისტებს მიჰქონდათ. მათ შორის პარიზი-ნიცას მომგებ ასევე ყაზახ ალექსანდრ ვინოკუროვს (ბოლო). ვინოკუროვი თავისი გამარჯვების დღეს მეგობრის ფოტოთი ხელში, ცრემლმორეული ავიდა პოდიუმზე.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სკანიძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ელენე გელუტაშვილი, თამარ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, რუსუდან დარსაველიძე, სვეტა დევაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, მალხაზ ჭუმბურიძე

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge